ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1981 წელი ხუთშაბათი 19 თებერვალი № 41 (17983) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ვიცოდეთ და გვახსოვდეს უკვდავი გმირობა!

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიმართვა დოკუმენტური კინოფილმის „აღორძინების" მაყურებლებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

უკვდავი შარავანდედით შეიმოსნენ დიდი სამამულო ომის გმირები — მებრძოლები, პარტიზანები, ზურგის მშრომელები. მათი გმირობა საუკუნეთა მანძილზე ეხსომებათ მადლიერ შთამომავალთ.

ხალხის ასეთივე მადლიერების ღირსია იმათი გმირობაც, ვინც თავის მხრებზე გადაიტანა ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ დანგრეული ქვეყნის აღდგენის უმაგალითო სიმძიმე.

ასობით ქალაქი ნაცარტუტად, აგურისა და ლორღის გროვებად იქცა. ჩვენი განთქმული ქარხნები და ელექტროსადგურები — პირველი სოციალისტური ხუთწლედების პირმშოები — ჰიტლერელებმა მიწასთან გაასწორეს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში არ იყო არც მუშახელი, არც ტექნიკა.

იმპერიალიზმის ბანაკში უკვე ზეიმობდნენ: საბჭოთა კავშირი დაუძლურებული, დასუსტებული, უკუქცეულია, მას აღარ ძალუძს წინანდელი დონის მიღწევა რამდენიმე ათწლეულის მანძილზეო. ჩვენ უარს გვეუბნებოდნენ არა მარტო დახმარებაზე, არამედ ნორმალურ ეკონომიკურ თანამშრომლობაზეც.

მაგრამ ჩვენი ხალხი თავისებურად მოიქცა, მან მწარედ გაუცრუა იმედი სოციალიზმის მტრებს.

პარტიის მოწოდებით საბჭოთა ადამიანებმა ხელი მოჰკიდეს საყვარელი სამშობლოს აღორძინების საქმეს ისეთივე თავდადებით, როგორც ომის წლებში.

გვიჭირდა, ამხანაგებო. ისე გვიჭირდა, რომ ახლა ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. არ გვყოფნიდა სურსათი, ბინები, სათბობი, ინსტრუმენტი, საშენი მასალები. არ გვყოფნიდა დრო: სასწრაფოდ უნდა უზრუნველგვეყო ქვეყნის უშიშროება და ახალგაზრდა თაობის ნორმალური ცხოვრება.

ამ სიძნელეთა დაძლევისათვის მილიონობით საბჭოთა პატრიოტი ერთი კაცივით აღდგა. შრომითი ფრონტის რამდენი შესანიშნავი გმირი წარმოშვა იმ მკაცრმა, მაგრამ სახელოვანმა წლებმა! ამ გმირთა სახელები დღესაც გვახსოვს.

და, ისევე როგორც ომის წლებში, მათი საიმედო დასაყრდენი იყო მტკიცე ზურგი — ურალის, ციმბირის, ყაზახეთის მძლავრი ეკონომიკა, ადამიანთა დაუცხრომელი შრომა ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის ქარხნებსა და მინდვრებში. იქაც ტეხდნენ ღამეებს, იქაც შიმშილობდნენ, არ იზოგავდნენ თავს, აკი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. უდიდესი, ისტორიული გამარჯვება, ამხანაგებო!

სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს სამ წელიწადში მივაღწიეთ. საბჭოთა ხალხმა თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით წაიწია წინ, ახალი დიადი საქმეების შესახვედრად.

ჩვენ, ომისშემდგომი აღდგენის მონაწილენი, არასოდეს არ დავივიწყებთ იმ წლების არნახულ სიძნელეებს, არაადამიანურ დაძაბულობას, მშრომელთა მასობრივ გმირობასა და მოპოვებულ გამარჯვებათა სიხარულს. მაგრამ საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ, კარგად იცოდეს და ახსოვდეს ქვეყნის ომისშემდგომი აღორძინების უკვდავი გმირობა. კინოდოკუმენტებიც ალწერენ ყოველივე ამას უფრო მართლად, უფრო დამაჯერებლად.

ლ. ბრეჟნევი.

# მომსახურება — მოთხოვნების დონეზე

შეალრესად საქმიანმა ვითარებამ, შემოქმედებითმა აღმავლობამ მოიცვა საქართველოს ქალაქები და სოფლები, მთა და ბარი. რესპუბლიკის მშრომელები ახალი შემართებით შეუდგნენ შრომას საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ახლა ჩვენი ხალხი შეიარაღებულია ყრილობის მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამით, რომლის ხორცშესხმისათვის ბრძოლა ყველა ჩვენგანის სისხლხორცეული საქმეა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებანი ორგანული ნაწილია იმ დიადი ამოცანებისა, რომლებიც მოცემულია მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითადი მიმართულებების პროექტში, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ცხადია, ეს ვალდებულებანი თავისთავად მიზნად ისახავს ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. როგორც ყოველთვის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ამ საერთო-სახალხო ლაშქრობაში ერთსულოვნად ჩაებნენ მომსახურების სფეროს კოლექტივები, ისეთი დარგების მუშაკები, რომლებსაც ჩვენს ადამიანებთან — მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, დიასახლისებთან ყოველდღიური ურთიერთობა, სისტემატური და აუცილებელი კავშირი აქვთ. ესენი არიან სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა კოლექტივები. მათაც ახალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მომსახურების სფეროს მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებების უმთავრესი და გადამწყვეტი აზრი ის არის, რომ შემართული ენერგიით, კულტურული შრომით, კეთილსინდისიერი მოქმედებითა და მომსახურებით შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი და ვალდებულებანი და ამით ხელი შეუწყონ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს, იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დაგვისახა.

აი ამ ამოცანების — 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებების ზოგიერთი მაჩვენებელი:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკები კისრულობენ საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, შეამცირონ სახელმწიფო ვაჭრობის საცალო ქსელში საქონლის ზენორმატიული მარაგი 4 მილიონი მანეთით. საზოგადოებრივი კვების პროდუქციის გამოშვების გეგმები შეასრულონ 1,1 მილიონი მანეთის, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციაში 600 მანეთის გადაჭარბებით. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდება საქონლის გაყიდვა თვითმომსახურების, წინასწარი შეკვეთების პროგრესული მეთოდებით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივები კისრულობენ სარეალიზაციო დავალებანი შეასრულონ 28 დეკემბრისათვის. მოსახლეობას გეგმის გადამეტებით გაუწიონ მილიონი მანეთის მომსახურება. უპირატესი ტემპით განვითარდება სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურება, მაქსიმალურად გადიდდება სოფლად კომპლექსური მიმღები პუნქტების რაოდენობა. მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპლექსური სადილების რეალიზაცია, დიდი ყურადღება დაეთმობა ვაჭრობის კულტურის ამაღლებას, ახალი კადრების მომზადებასა და მათს გამოყენებას სავაჭრო სისტემაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარება, დისპანსერიზაცია, საავადმყოფო საწოლების რაციონალური გამოყენება, სამედიცინო დაწესებულებებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო საქონლით და მოწყობილობით. კიდევ უფრო გაუმჯობესდება საკურორტო, ტურისტული მომსახურება. მარტო ის რად ღირს, რომ წელს 87 ათასზე მეტი კაცი დაისვენებს საოჯახო გამაჯანსაღებელ კერებში.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეს ვალდებულებანი საერთოდ ღრმად, მეცნიერულად მოფიქრებული და კარგად აწონილ-დაწონილია, ისე არის გაანგარიშებული, რომ ისინი უეჭველად რეალურად შესასრულებელ ამოცანად წარმოგვიდგება. ამასთან, ცხადია ისიც, რომ ეს სამუშაოები იოლი საქმე არ არის, რადგან იგი მოითხოვს ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო, ტურიზმის, საექსკურსიო დარგების მუშაკთა კოლექტივების მთელი ძალ-ღონის, მთელი შესაძლებლობის, ენერგიის დაძაბვას, გულმოდგინებასა და სიბეჯითეს, პასუხისმგებლობის გრძნობის მკვეთრ ამაღლებას, სანიმუშო შრომით დისციპლინასა და ერთგულებას. იმისათვის, რომ ეს ვალდებულებანი შესრულდეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოვფხვრათ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, ხარვეზები, რომლებიც წარსულში ხელს გვიშლიდა მუშაობაში, გაბედულად ვებრძოლოთ ყოველგვარ დანაშაულს, უხეშობასა და უდისციპლინობას.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დასახული პროგრამა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებანი თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა და სერიოზულ წარმატებებსაც მივაღწიეთ, მაგრამ ამ სფეროში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება აქტუალურ ამოცანად რჩება მეთერთმეტე ხუთწლედშიც. ამიტომ პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა, საკონტროლო ორგანოებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ მყიდველთა ზომა-წონაში, ხურდაში მოტყუების, გაფლანგვის და დატაცების, გამოძალვის, უხეშობის ფაქტების აღმოსაფხვრელად და საერთოდ მომსახურების მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარი უმსგავსო მოვლენების წინააღმდეგ დიდი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიმდინარეობს და მკაცრად სჯიან ყველას, ვინც ატყუებს ხალხს, არ სურს კეთილი გზითა და ალალი შრომით იმუშაოს და იცხოვროს. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები სულ უფრო მცირდება, მაგრამ ყოველივე ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლა კვლავ მთელი შეუპოვრობით წარიმართება.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ გულისხმიერი, პატიოსანი მშრომელი ადამიანი, რა დარგისა და რანგის მუშაკიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის პოვებს მხარდაჭერას, წახალისებას, პარტიისა და ხალხის ღრმა სიყვარულს. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ფერხულში ჩაბმული ადამიანების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. და რასაკვირველია, მთელი ჩვენი მოღვაწეობა, შრომა საერთო შედეგებით შეფასდება.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, მომსახურების ყველა სფეროს მუშაკებს ხელთა აქვთ სოციალისტური ვალდებულებანი 1981 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ეს ისეთი საბრძოლო ამოცანებია, რომლებიც უთუოდ უნდა შესრულდეს. ჩვენ ახლა ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ წარმატებით შესრულდეს პარტიისათვის, ხალხისათვის მიცემული სიტყვა. ასეთია ამოცანა დღეს, ამას მოითხოვს ყველა ჩვენგანისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონული კომიტეტები აწყობენ სამეცნიერო სესიას თემაზე: „საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ".

სესია გაიმართება 1981 წლის 20 თებერვალს, დღის 2 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

# საყრილობო ვახტზეა მთელი საქართველო!

## სიტყვა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატზე

# არჩევანში არ შემცდარა



ნანული ჯიმშელეიშვილი ჯერ კომკავშირულ ასაკს არ გადასცილებია, მაგრამ უკვე ათი წელია თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების სართავ ფაბრიკაში მრთველად მუშაობს. პროფესიის არჩევაში არ შემცდარა და ამიტომაც შრომა ცხოვრების ხალისს ანიჭებს.

ცხაკაიას რაიონში, სოფელ ნაქალაქევში მცხოვრებ აკაკი ჯიმშელეიშვილის შრომისმოყვარე მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. თბილისის 23-ე პროფტექნიკური სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სართავ ფაბრიკაში სართავსაგრეხ საამქროში დაიწყო მუშაობა.

საზრიანობა არ აკლდა და შედარებით ნაკლები დრო დასჭირდა იმისათვის, რომ თავის საქმისათვის დამოუკიდებლად მოეკიდა ხელი. მალე დარწმუნდა — ფეიქრობა მისი მოწოდება იყო. მას შემდეგ ყოველწლიურად იხვეწება შრომითი ჩვევები. მუყაითმა გოგონამ გულმოდგინე შრომით მალე გაითქვა სახელი და იგი 1976 წელს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა, რამაც უფრო გაზარდა მისი პასუხისმგებლობა საქმისათვის.

ნანული ახლა ნორმით გათვალისწინებულ 312-ის ნაცვლად ორ მანქანაზე 480 თითისტარს ემსახურება. ფთილას კოჭიდან ძაფი თვალის დახამხამებაში ეხვევა თითისტარს, დროზე თუ არ მიუსწარი, ჩამოიცლება და გაჩერდება, ეს კი ნართის წყვეტიანობას გამოიწვევს.

ამიტომაც არის, რომ ნანული წამდაუწუმ თავს დასტრიალებს თეთრად გადაპენტილ ბამბისძაფიან თითისტარებს, მან იცის, რით იზომება მრთველის მუშაობა და მუდამ ცდილობს სწრაფად და უზადოდ გაისარჯოს. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს იგი 1983 წლის ანგარიშში შრომობს.

ნანული ჯიმშელეიშვილი საპატიო ნიშნის ორდენოსანია, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრია. დიდად გაიხარა, როცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ასეთი დაფასებისათვის სიამაყით აღვსილმა ქალიშვილმა გადაწყვიტა სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად 1983 წლის გეგმა შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 29 ტონა ნართი გამოუშვას. და აი, სიტყვა საქმედ აქცია, საყრილობო ვალდებულება განაღდებულია.

— ფაბრიკაში ჩემი მუშაობის ათი წლის მანძილზე, — ამბობს ნანული — ბევრ ახალგაზრდას დავეხმარე პროფესიის დაუფლებაში, შენ გვერდით მყოფი ახალგაზრდა უყურადღებოდ დატოვო — ეს ვერც წარმომიდგენია, მაგრამ გულსატკენი ის არის, რომ ზოგიერთმა მათგანმა, ვისაც საქმე ვასწავლე და დავეხმარე პროფესიულ დაოსტატებაში, მალე ფაბრიკა მიატოვა, საქმეს გული ვერ დაუდეს, არა მგონია, ასეთი ერთი საწარმოდან მეორეში „მფრინავი" ახალგაზრდები რომელიმე საწარმოს გამოადგნენ და იქ ივარგონ. მე ასე მწამს — უნდა გიყვარდეს შენი საქმე და კიდეც უნდა უერთგულო მას, სხვანაირად შეუძლებელია.

აფასებენ ნანულის, ფაბრიკის პარტბიუროს ხელმძღვანელობა მას ახასიათებს როგორც ჭკვიან, თავაზიან და მეგობრულ ახალგაზრდას, რომელსაც უყვარს თავისი საქმე და დღენიადაგ საწარმოს წარმატებებზე ფიქრობს.

ლ. ქინქლაძე.

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნანული ჯიმშელეიშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# რეზერვების ძიებით

ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ნამდვილი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მთავრდება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. დაიწყო შრომითი გადაძახილი. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას უპატაკებენ სამშობლოს საამქროების, უბნების, ბრიგადების კოლექტივები.

ავტომშენებლებმა მიმდინარე წლის პირველივე დღეებიდანვე შრომის სწრაფი ტემპი აიღეს და შედეგმაც არ დააყოვნა: იანვრის გეგმის გადამეტებით მათ თხუთმეტი „კაზ-603" მარკის მანქანა დაამზადეს და უმატეს შრომის ტემპს.

ქარხნის საამქროებში გრძელდება რეზერვების ძიება მეთერთმეტე ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად. მოწინავე მუშებს, სპეციალისტებს, რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს შემოაქვთ წინადადებები, რომლებიც დაეხმარება ავტომშენებლებს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. („კომ". კორ.).

# ახალი ავტოსადგური

ახალციხე. (საკ. კორ. შ. მაისურაძე). ახალციხელმა მშრომელებმა სკკპ XXVI ყრილობის გახსნის წინ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. მწყობრში ჩადგა ახალი ავტოსადგურის კეთილმოწყობილი შენობა.

მის პირველ სართულზე ადმინისტრაციული და სადისპეტჩერო სამსახურები, სალაროები და მგზავრთა მოსაცდელი დარბაზია განლაგებული, მეორე სართულზე კი — სასტუმრო, დედათა და ბავშვთა ოთახები. აქვეა სასადილო, მეორე მოსაცდელი დარბაზი. ეს ფართოაივნებიანი ორსართულიანი შენობა ერთდროულად 300 მგზავრს მოემსახურება.

ავტოსადგურის მშენებლობაზე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 21 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივი მუშაობდა.

# საქმიან, ამხანაგურ ვითარებაში

17 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შ. ანდრეის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც საქმიან, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები. მათ ხაზი გაუსვეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს შეხვედრების დროს მიღწეულ მორიგებებს.

მხარეები იზიარებენ აზრს, რომ გართულებულ საერთაშორისო პირობებში საჭიროა ბრძოლა გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, ომის საშიშროების კერების მოსპობისათვის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკის დაცვისა და აქტიური განგრძობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში ამჟამად შექმნილ ვითარებას და მის პერსპექტივებს. ამასთან აღინიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფოთა შემდგომი მეცადინეობა — ორმხრივი და კოლექტიური — რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროპის განვითარება ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის მიერ გაკვალული გზით. მხარეები იმ აზრისა არიან, რომ ყველა მონაწილემ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა მადრიდში ამჟამად მიმდინარე შეხვედრა დამთავრდეს კონსტრუქციული შედეგებით, რომლებიც შეესაბამება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ინტერესებს. ისინი ამ თვალსაზრისით უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მორიგებას იმის თაობაზე, რომ მოიწვიონ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენცია, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი უნდა გახდეს ევროპის კონტინენტზე ნდობის განმტკიცებისა და სამხედრო კონფრონტაციის შესუსტების საქმეში.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკომ შ. ანდრეის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

18 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი, რომელიც აქ ვიზიტად იმყოფებოდა.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

## განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი

# იდეოლოგიური მუშაობა: ეფექტიანობა და ხარისხი

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე და სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ამოცანები განიხილეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკაში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. ქ. შარტავა.

იდეოლოგიურ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ვ. კომახიძემ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. მ. ბუტბამ, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის, რუსთავისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების მდივნებმა ი. ნ. ტეხოვამ, ს. პ. ამირიძემ, ლ. მ. კაკულიამ, საქართველოს კომპარტიის თელავის, მახარაძისა და თერჯოლის რაიონული კომიტეტების მდივნებმა დ. ნ. აბაშიძემ, მ. მ. ნიკოლაიშვილმა და ა. ი ქოჩიაშვილმა. თათბირის მონაწილეების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა სრულყონ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში ლექციური პროპაგანდის, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა გამოყენების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, კონტრპროპაგანდისტული მუშაობის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში პრიმიტივიზმისა და ფორმალიზმის დაძლევის პრაქტიკა.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა იდეოლოგიური მუშაკის წინაშე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები განსაკუთრებით მწვავედ აყენებენ დღის წესრიგში მთელი იდეოლოგიური მუშაობის ლენინური მეთოდოლოგიური საფუძვლების — პარტიულობის, მეცნიერულობის, საჯაროობის, ცხოვრებასთან მისი განუყრელი კავშირის საკითხებს.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმების ოპერატიულ, კარგად მოფიქრებულ შემუშავებას, რომლებშიც უნდა აისახოს უახლოესი ხუთი წლისათვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიმართულებანი. თათბირზე მოიყვანეს დამაჯერებელი მაგალითები, რომლებიც მოწმობს, რომ ამ მუშაობის ეფექტიანობა მცირდება იქ, სადაც განსხვავებაა სიტყვასა და საქმეს შორის, სადაც უზრუნველყოფილი არ არის ორგანიზაციული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა.

მთელი პრინციპულობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის პოზიციებიდან ითქვა თათბირზე, რომ იდეოლოგიური მუშაობა რესპუბლიკაში უნდა ავიდეს უფრო მაღალ თვისებრივ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს. ორატორებმა წამოაყენეს წინადადებანი, რომელთა მიზანია პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონის შემდგომი უზრუნველყოფა, მათი აქტიურობის, კონკრეტულობისა და მეტევითობის გაძლიერება.

თათბირზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის პარტიული კომიტეტების, იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხები. დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ახალი სოციალისტური ტრადიციების დანერგვის პრობლემებს, მათს როლს იდეურ-ზნეობრივი აღზრდის სისტემაში. თათბირზე ითქვა, რომ საბჭოური ცხოვრების წესის პრინციპების ყველგან დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია ბრძოლის გაძლიერება კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ადამიანზე სულიერ ღირებულებათა ზემოქმედების აღმზრდელობითი ეფექტის ამაღლება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს იდეოლოგიური სამსახურების არსებული მატერიალური ბაზის გამოყენება. კერძოდ, ითქვა, რომ მაქსიმალური უკუგებით უნდა იყოს გამოყენებული, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, რესპუბლიკაში არსებული ყველა კულტურის სასახლე, კლუბი, ბიბლიოთეკა, დარბაზი, სტადიონი, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისათვის. მათი, ისევე როგორც მთლიანად იდეოლოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილების ეფექტიანი გამოყენების საუკეთესო გამოცდილება კი ყველგან უნდა გავავრცელოთ, გავაცნოთ თითოეულ კოლექტივს, ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ მომავალი XXVI ყრილობის მასალები. ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის მუშაობის დღეებშივე რესპუბლიკის მშრომელებს ფართოდ უნდა გავაცნოთ ეს მასალები, ხოლო ყრილობის შემდეგ პირველ დღეებშივე მოვაწყოთ მათი ღრმა შესწავლა, ამ მიზნით აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, ფართოდ ჩავაბათ ამ მუშაობაში აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. (საქინფორმი).

# კომუნისტთა ფორუმის მასალები

## გამოვიდა ბროშურა „საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა"





ბროშურა, რომელიც ეს-ეს არის დაისტამბა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში იწერებოდა და კომუნისტთა ფორუმზე მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილებებით არის აღსავსე; „საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა", — ასეთი სათაური აქვს მას. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის კოლექტივმა მოამზადა (ავტორები — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები შ. თევზაძე და ლ. თოიძე, პარტიის ისტორიის სექტორის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრ. ქვანია, სწავლული მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. შენგელაია). ბროშურა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა (რედაქტორი პროფესორი გრ. ქვანია).

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელების ცხოვრებაში. საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა ყრილობაზე, მთელი სიღრმით არის გაშუქებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური განვითარების საკითხებზე უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული დადგენილებების შესრულების შედეგები.

ყრილობა მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულთა დემონსტრაცია იყო.

ბროშურა დახმარებას გაუწევს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივს ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში.

რ. რამიშვილი.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

[illegible] 1981 წლის 16 [illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

[illegible]

# მუშაობს სკკპ XXVI ყრილობის პრესცენტრი

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ფორუმის მუშაობის გაშუქებისათვის მოსკოვში გაიხსნა სკკპ XXVI ყრილობის პრესცენტრი. მსოფლიოს 53 ქვეყნის დაახლოებით 800 ჟურნალისტმა უკვე მიიღო აკრედიტაცია ამ პრესცენტრში.

პრესცენტრი მოაწყობს პირდაპირ სატელევიზიო გადაცემას კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

პრესცენტრში კორესპონდენტთა განკარგულებაშია საზღვარგარეთის ქვეყნებთან პირდაპირი სატელეფონო, სატელეტაიპო და ტელექსური კავშირი.

* * *

**18 თებერვალს** დილით პრესცენტრში მოვიდა ასობით საბჭოთა და საზღვარგარეთელი კორესპონდენტი, რათა შეხვედროდნენ სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებს, ბამის მშენებელთა 132-ათასიანი რაზმის წარმოგზავნილებს.

კორესპონდენტებმა მრავალი შეკითხვა შემოიტანეს ბამელთა შრომისა და დასვენების შესახებ, რომელთა საშუალო ასაკი 26 წელს შეადგენს.

პრესის წარმომადგენლებმა მიიღეს დაწვრილებითი ინფორმაცია ფაქტებითა და ციფრებით, მერე კი მიაშურეს პრესცენტრის სამუშაო დარბაზს, ტელეფონებს, ტელეტაიპებსა და ტელექსებს, რათა მთელ მსოფლიოს გააცნონ ბაიკალ-ამურის მშენებელთა ახალი წარმატებანი, რომლებიც დამკვრელური შრომით ხვდებიან ლენინური პარტიის უმაღლეს ფორუმს. (საქინფორმის სპეც. კორ.).

# ღვაწლი დაუფასდათ

— **სამშობლოს** ჯილდო ყოველთვის შთაგვაგონებს და ბევრს გვავალებს. ხოლო რესპუბლიკისა და ქვეყნის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმებს შორის პერიოდში გადმოცემული ეს ჯილდო ორმაგად აღგვაფრთოვანებს და გვავალებს, — თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. გ. წერეთელმა „საპატიო ნიშნის" ორდენის მიღებისას, რომელიც მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერების დარგში, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის. კონსტანტინე წერეთელმა გამოხატა ყველა იმ ამხანაგის აზრი და გრძნობა, რომლებიც 16 თებერვალს მიიწვიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ორდენებისა და სიგელების გადასაცემად.

ბრძანებულებები დაჯილდოების შესახებ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს ქ. ბ. ლომთათიძესა და ვ. ვ. მახალდიანს გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენები, რომლებიც მათ მიენიჭათ დამსახურებისათვის მეცნიერების განვითარებაში სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

XXII ოლიმპიური ასპარეზობის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით დიდი მუშაობისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ზ. კ. წერეთელს, „საპატიო ნიშნის" ორდენი კი საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს ნ. ვ. გურგენიძეს. ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა აგრეთვე „თბილისქალაქპროექტის" ინსტიტუტის არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელს ვ. კ. ქურთიშვილს ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორს დ. გ. სტურუას გადასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომელიც მას მიენიჭა პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. სიგელები „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვ. მ. ოკუჯავას, ხოლო „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა" — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორდას" სამხატვრო ხელმძღვანელს ბ. ა. სვანიძეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. პ. გ. გილაშვილმა მხურვალედ მიულოცა ყველა დაჯილდოებულს, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი დიდი წარმატებები შრომაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

# დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლისა და სპორტულ ორგანიზაციებში ნაყოფიერი მუშაობისათვის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 1972-1976 წლების ოლიმპიურ ასპარეზობათა ორგზის ჩემპიონი, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ლევან ქიტოს ძე თედიაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

---

**პარტიული ცხოვრება: ფიქრები ყრილობის შემდეგ**

# წინ ახალი მიჯნებისა

**სულ** სამიოდე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ — რესპუბლიკის კომუნისტთა ამ ფიქრიანმა, ღრმაშინაარსიანმა ფორუმმა.

ყოველი ყრილობა, ცხადია, ძალზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი პარტიული ორგანიზაციის, მშრომელი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ ეს ოცდამეექვსე მაინც სულ სხვა, გამორჩეული და განსაკუთრებული იყო. და მარტო იმიტომ კი არა, რომ მან გააანალიზა და შეაჯამა საბჭოთა საქართველოსათვის ყველაზე წარმატებული, მეათე ხუთწლედის შედეგები, ამ წლების მანძილზე გაწეული მუშაობა, სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგში, სფეროში, უბანზე მოპოვებული სასახელო მიღწევები. მთავარი მაინც ის უაღრესად საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული, ჭეშმარიტი დემოკრატიულობის ატმოსფერო იყო, რომელიც ამ ფორუმზე სუფევდა. სწორედ მისი მუშაობისათვის დამახასიათებელი ამ რამდენიმე ძირითადი ნიშან-თვისებით გამოვარჩიე იგი სხვა ყრილობათაგან.

იქნებ ამიტომაც არის, რომ რაც დრო გადის და უფრო უღრმავდებით და ვსწავლობთ მის მასალებს, გადაწყვეტილებებს, ვსახავთ მათი განხორციელების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს, აქ მიღებული შთაბეჭდილებები დროთა მსვლელობაში განელების ნაცვლად კიდევ უფრო ძლიერდება და თითოეული ჩვენგანისათვის უდიდეს მასტიმულირებელ ძალად იქცევა.

და სწორედ ყრილობის ამ უმთავრესი დევიზის — დემოკრატიზმის პრიზმით თუ განვიხილავთ მთელ პარტიულ-პოლიტიკურ, იდეურ-აღმზრდელობითს და ორგანიზატორულ მუშაობას (და ეს ასეც უნდა მოხდეს), მაშინ თითოეული პარტიული ორგანიზაციის წინაშე დადგება ფრიად მასშტაბური, გრანდიოზული ამოცანები — მეთერთმეტე ხუთწლედისა და მთლიანად ოთხმოციანი წლების მანძილზე საქმიანობის სახელმძღვანელო პროგრამა, რომლის უცილობელი შესრულებისათვის საჭიროა მთელი პარტიული მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება, მისი ფორმებისა და მეთოდების დახვეწა. მოკლედ რომ ვთქვათ, საჭირო და აუცილებელია ყველგან, ყველაფერში, საქმიანობის ყველა უბანზე დავამკვიდროთ მუშაობის შემოქმედებითი, ჭეშმარიტად ლენინური სტილი, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, ახალი წარმატებებისადმი მისწრაფების ის სულისკვეთება, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სუფევდა, ვიბრძოლოთ მისი გადაწყვეტილებების წარმატებით ხორცშესხმისათვის.

სწორედ ეს არის ამჟამად ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაციის, ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის უმთავრესი მოვალეობა და მიზანი.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა: „პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის ფორმებში, პარტიულ აქტივთან საინფორმაციო და მეთოდიკური მუშაობის დაყენებაში ბევრ სიახლეს ვხედავთ პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების, რუსთავის საქალაქო, აბაშის, სიღნაღის რაიონული კომიტეტების საქმიანობაში".

ეს სიტყვები და დაფასება რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისებურ ავანსად, შემდგომი მუშაობის დიდ სტიმულად აღიქვა, და განეწყო ორგანიზატორული, პოლიტიკური მუშაობის, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების, ყრილობის გადაწყვეტილებების, საანგარიშო მოხსენებასა და დადგენილებაში მოცემული მითითებების უცილობელი რეალიზაციისათვის.

რესპუბლიკის კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე დადებითად შეფასდა სიღნაღის რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შედეგები. მეათე ხუთწლედში წარმოებულია 248.386 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია — 121.399 ათასი მანეთისა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 169 პროცენტით. თუ მეათე ხუთწლედის დამდეგს რაიონის სამრეწველო საწარმოებში არ გამოდიოდა ხარისხისნიშნიანი პროდუქცია, შარშან მისი ხვედრითი წილი მთლიან ნაწარმში 16 პროცენტს შეადგენდა. შრომის ნაყოფიერება საგეგმო 53 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 115 პროცენტით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტმა 450 ათასი მანეთი შეადგინა. დიახ, წინსვლა მართლაც საგრძნობია, მაგრამ მეთერთმეტე ხუთწლედში უფრო სერიოზული გეგმები გვაქვს დასახული.

როგორც ცნობილია, ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალ ხუთწლედში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება სასურსათო პროგრამის შემუშავება და მისი რეალიზაცია.

იმისათვის, რომ ჩვენმა რაიონმა თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდმნიშვნელოვანი პროგრამის შესრულებაში, პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის რაიონული კომისია, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია. ამ მხრივ სერიოზული ამოცანები გვაქვს დასახული. რაიონის თხუთმეტივე მეურნეობაში აღდგება მეფრინველეობის ფერმები, სადაც გამოზრდიან 80 ათას ფრთა ქათამს, კოლმეურნეობაში დამატებითი ფართობები გამოიყოფა ბოსტნეულისა და ბაღჩეულისათვის, ყოველწლიურად ვაწარმოებთ 4 ათას ტონა ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, „იორწყალმშენის" ტრესტის დახმარებით წნორის მეცხოველეობის კომპლექსში და ივრის ნაპრალში აშენდება წყალსაცავები, სადაც განვითარდება მეთევზეობის მეურნეობები, საშუალო სკოლებთან შეიქმნება მებოცვრეობის მეურნეობები, ყოველწლიურად დავამზადებთ 10 ტონა ხორცს, რაიონის სამრეწველო, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციებთან უფრო განვითარდება საკუთარი დამხმარე მეურნეობები, სადაც გამოიზრდება და გასუქდება 1500 სული ღორი და ყოველწლიურად დამზადდება 150 ტონა ხორცი. არასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს გამოეყოფათ ნაკვეთები ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ აგრეთვე პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებას. ძალიან დიდი სამუშაოები მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობის მხრივ.

ჩვენი რაიონის მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდეოლოგიური მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლებამ, მშრომელთა იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობისადმი კომპლექსურმა მიდგომამ ბევრ შრომით კოლექტივში დადებითი შედეგები მოგვცა. ამას ნათლად მოწმობს თუნდაც ჩვენი მუშებისა და კოლმეურნეების თავდადებული შრომა, ახალი პატრიოტული თაოსნობები, რომელთა ლოგიკური შედეგიც იყო მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

ამ ბოლო წლების მანძილზე რაიონში იდეოლოგიური მუშაობის ბევრი საინტერესო და სასარგებლო ფორმა დამკვიდრდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს „პროპაგანდისტის დღე", ამ დღეს პროპაგანდისტთა წინაშე ინფორმაციებითა და ლექცია-მოხსენებებით გამოდიან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. პროპაგანდისტები მოწვეული და ადგილობრივი ლექტორების საშუალებით ისმენენ ლექციებს საერთაშორისო ცხოვრების, ეკონომიკის, კულტურის, იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

გარდა ამისა, რაიკომის ბიუროს დადგენილებით ბიუროს წევრები და ზოგიერთი სხვა პასუხისმგებელი მუშაკი მივამაგრეთ ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებთან შექმნილ პოლიტსკოლებსა და სემინარებს, როგორც შეფი პროპაგანდისტები. უკანასკნელ ხანს რაიონში მტკიცედ დამკვიდრდა ახალი საბჭოური დღესასწაულები, რომლებიც დავუპირისპირეთ რელიგიურ დღესასწაულებს.

მაგრამ პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, პარტიული მუშაობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მთავარი აქცენტი კი მაინც გადატანილი გვქონდა შინაპარტიული დემოკრატიის მექანიზმის შემდგომ სრულყოფაზე, რადგან, როგორც პრაქტიკამ მრავალგზის დაგვარწმუნა, ეს არის მუშაობის გაუმჯობესების, ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში ჭეშმარიტი დემოკრატიზმის გაღრმავების საუკეთესო საშუალება.

სრულყოფდით რა პარტიულ მუშაობას, ყოველნაირად ვცდილობდით, აგვემაღლებინა კოლექტიური ხელმძღვანელობის ინსტიტუტების — პარტიული კრებების ბიუროების, პლენუმების ეფექტიანობა, რაც შეიძლება მეტი კომუნისტი ჩაგვება გადაწყვეტილებათა მომზადებაში, გამოგვეყენებინა მათი წინადადებები და სურვილები.

ამ ბოლო წლებში რაიონის პარტიული ორგანიზაციების დიდი ზრუნვის საგანი იყო აგრეთვე კონტროლის ორგანიზაციისა და შესრულების შემოწმების სრულყოფის საკითხები. მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კაბინეტში შექმნილია დადგენილების მაკონტროლებელი კომისია. შემოვიღეთ სპეციალური საკონტროლო დაფა, რომელზეც ფიქსირებულია როგორც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები, ისე საკუთარი დადგენილებები, მათი შინაარსი, შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი და შესრულების ვადები. ამ დაფის მეშვეობით ყოველკვირეულად ვაკონტროლებთ დადგენილებათა შესრულებას. სწორედ ამის შედეგია, რომ მიღებულ დადგენილებათა დიდი უმრავლესობა დროულად სრულდება და იხსნება კონტროლიდან. ამასთანავე რაიკომის ბიურო რეგულარულად ისმენს ხელმძღვანელი მუშაკების, განყოფილებათა უფროსების, საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივნების ანგარიშებს, რაც შესრულების შემოწმების ერთ-ერთი გამართლებული ფორმაა.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პარტიული ინფორმაციის სრულყოფის საკითხებს შრომით კოლექტივებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობის შესახებ. პარტიული ორგანიზაციები რაიონულ კომიტეტს ყოველთვიურად აწვდიან ინფორმაციას სპეციალურად დამუშავებული საინფორმაციო ბარათის საშუალებით. ეს გვეხმარება მუშაობაში, მაგრამ რაიკომი ცდილობს პარტიული ინფორმაციის სისტემა არ გადატვირთოს წერილობითი ინფორმაციებით. ამიტომ იგი უპირატესობას ანიჭებს ზეპირ ინფორმაციას, რომლებსაც ყოველ ორშაბათს რაიკომის მდივნებს მოახსენებენ რაიკომის განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

რაც შეეხება ადგილებზე შექმნილ ვითარებას, ამის თაობაზე ზეპირ ინფორმაციას ვიღებთ არჩევითი აქტივის მეშვეობით. ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს დანიშნულია „პირველადი პარტიული ორგანიზაციის დღე". ამ დღეს რაიკომის წევრები, წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები მიდიან პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, სადაც ეცნობიან არსებულ მდგომარეობას, უწევენ სათანადო ინსტრუქტაჟს და ოპერატიულად მოახსენებენ პარტიის რაიკომს.

პარტიის რაიონული კომიტეტი პარტიული ინფორმაციის მიღებისათვის სათანადოდ იყენებს ისეთ ფორმებსაც, როგორიც არის არჩევითი აქტივის ინფორმაციის მოსმენა რაიკომის ბიუროსა და პლენუმზე. ამასთანავე რაიკომის პლენუმზე ვისმენთ ანგარიშს რაიკომის ბიუროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებაც.

აქტივის ინფორმირება ხდება აგრეთვე რაიკომის მდივნებთან, ბიუროს წევრებთან პირადი კონტაქტებით. მათ განსაზღვრულ დღეებსა და საათებში სისტემატურად აქვთ ადგილებზე მიღება, რომელზეც ეცნობიან მშრომელთა განწყობილებას, მათს საჭიროებებს, შენიშვნებსა და წინადადებებს...

მუშაობის ეს ფორმები და მეთოდები, რომელთა შესახებ ძალიან მოკლედ მოგახსენეთ, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი საქართველოს კომპარტიის XVII პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მიდგომა ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით, მით უმეტეს ახლა, როდესაც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ ყოველ პარტიულ კომიტეტს, პირველადს პარტორგანიზაციას, შრომით კოლექტივს განუზომლად დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა. როგორც ითქვა, მათი გადაწყვეტისათვის ზრუნვაა ამჟამად ჩვენი უმთავრესი ამოცანა. რაიონის მშრომელების, კომუნისტების შემართება და ენთუზიაზმი კიდევ უფრო გაიზარდა ამ დღეებში, როცა გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა საქართველოს ზედიზედ მერვედ მიეკუთვნა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს საპატიო ჯილდო კიდევ უფრო მეტს გვავალებს. ხელდამშვენებული ვეგებებით რა სკკპ XXVI ყრილობას, ყოველმხრივ ვემზადებით, რომ საკუთარი წვლილი შევიტანოთ მისი გადაწყვეტილებების ხორცშესხმაში.

**ნ. ბუჩუკური,**
საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

---

XXVI სკკპ ყრილობის შეხვედრად

# აღმშენებლობის პროგრამა

**გამოხმაურება ● წინადადება ● მოსაზრება**

**განვიხილავთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი"**

ზრდის ციფრები

## ხელის შრომა რომ შემცირდეს...

**საქართველოს** კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც მეთერთმეტე ხუთწლედის გლობალური ამოცანაა. ეს რეზერვი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ამოქმედებული. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ხელის შრომას ეწევა მუშათა საერთო რაოდენობის 55 პროცენტზე მეტი, აქედან მძიმე ხელის შრომას — დაახლოებით 15 პროცენტი.

უკვე შემუშავებულია და მოქმედებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის მეთერთმეტე ხუთწლეულის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მექანიზებულ შრომაზე გადავიყვანოთ 32 ათასი და პირობითად გამოვათავისუფლოთ 100 ათასზე მეტი კაცი. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად 1981-1985 წლებში შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად გაიზრდება.

უნდა ავამაღლოთ წარმოების ტექნიკური დონე მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში, კვების და მსუბუქ მრეწველობაში, განვახორციელოთ ღონისძიებანი ქვანახშირის, სამთომომპოვებელი, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ტექნიკური განახლებისათვის. 80-იანი წლები დიდი გარდატეხის წლებია ხელის შრომის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. ეს არის წარმოებაში ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის წლები, წარმოების ინტენსიური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის წლები.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მომავალში უფრო გამართული მუშაობისათვის მეათე ხუთწლედშიც ბევრი რამ გაკეთდა. შეიქმნა 800-ზე მეტი ნიმუშის ახალი ტიპის მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი. კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებულია 620 უბანი, საამქრო და წარმოება, ამოქმედდა 1.180 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეფექტმა 220 მილიონი მანეთი შეადგინა. ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლის პრაქტიკაში მეათე ხუთწლედის მანძილზე ჩვენში იშვა ბევრი ახალი, საინტერესო ფორმა და მეთოდი.




# „მესამე სემესტრის" დიდი რეზერვები

**პარტიის** XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ვკითხულობთ: „კომკავშირი მოწოდებულია უმეთაუროს ახალგაზრდობას საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში".

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი და საჭიროა, ძირითად მიმართულებებში აისახოს სტუდენტური „შრომითი ზაფხულის" დიდი მნიშვნელობაც და პროექტიდან ციტირებული ადგილი ამგვარად ჩამოყალიბდეს: **„კომკავშირი მოწოდებულია უმეთაუროს ახალგაზრდობას საგეგმო, აგრეთვე „შრომითი ზაფხულის" დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში".**

სადღეისოდ „შრომითი ზაფხულის" მთავარ ამოცანათა განსაზღვრისას, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამ პლენუმმა, როგორც ცნობილია, დასახა გზები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავჭრათ თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიც არის სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის მკვეთრი გაუმჯობესება.

ასევე დიდი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი „შრომით სემესტრში" იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების უთუო შესრულებას.

იმ მიზნით, რომ უკეთ განისაზღვროს „შრომითი ზაფხულის" მიზნები ჩვენს რესპუბლიკაში, სწორად განაწილდეს ძალები და გაწეულმა გარჯამ მაქსიმალური სიკეთე მოგვცეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის (გამგე — დოცენტი ი. ბაქრაძე) თაოსნობით მუშავდება სახელშეკრულებო თემა „მესამე შრომითი სემესტრის ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში".

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს „შრომითი ზაფხულის" დრო, მისი დასაწყისი და დასასრული. უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „შრომითი ზაფხული" ფუნქციონირებდეს ივნის-სექტემბრის პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტური რაზმები, ჩვეულებრივ, უკეთ არის უზრუნველყოფილი სამუშაო ფრონტით და უმაღლეს სასწავლებლებსაც შედარებით უიოლდებათ რაზმების დაკომპლექტება და შესაბამის რეგიონებში მათი მორიგეობით წარგზავნა. მანამდე, ცხადია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისმა საწარმოებმა უნდა განსაზღვრონ ივნის-სექტემბერში „შრომითი ზაფხულის" მონაწილეთა სამუშაოთი უზრუნველყოფის საკითხები, როგორც ძირითად, ისე დამხმარე სამუშაოებზე, გეგმის ძირითადი და შემხვედრი მაჩვენებლებით.

შესასრულებელ სამუშაოთა რეზერვების გამოძებნის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: მეცხოველეობისათვის სადგომების მშენებლობა, პირუტყვისა და ფრინველისათვის საკვების დამზადებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მეცხოველეობის საწარმოების მოსახლეობასთან კოოპერირების პრინციპის გათვალისწინებით, მოსავლის აღებასთან დაკავშირებული დანაკარგების აღმოფხვრას, სამელიორაციო ღონისძიებებში მონაწილეობას, პროდუქციის გადასამუშავებელ საწარმოებში დასაქმებას, დამხმარე მეურნეობების შექმნაში მონაწილეობას, სამრეწველო წარმოების ორგანიზაციებთან საშეფო კავშირის ფორმების გამოყენებას, გარემოს დაცვას, ტყეების გაშენებას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ტყის ნაყოფის დამზადებას, საგზაო მშენებლობას, დაუმთავრებელ კაპიტალურ მშენებლობას და სხვა.

ამის შემდეგ ყველა საწარმოსათვის სათანადო რეზერვების გათვალისწინებით შედგენილი „შრომითი ზაფხულის" გეგმას კანონის ხასიათი უნდა ენიჭებოდეს და განუხრელად სრულდებოდეს.

ზუსტად უნდა განისაზღვროს „შრომითი ზაფხულის" შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი (შრომის ბალანსი). შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა რეალურ მოთხოვნებს უნდა დავუქვემდებაროთ, რათა არ გვქონდეს სამუშაო ფრონტისა და მომუშავეთა კონტინგენტის შეუსაბამობა. უნდა გაიზარდოს ხელშეკრულების მონაწილე ორგანიზაციების (გამგზავნი და მიმღები) პასუხისმგებლობა, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამივლინებო თანხების განსაზღვრას, მგზავრობის ღირებულების დაზუსტებას და ა. შ.

საჭიროა შეიქმნას „შრომით ზაფხულში" გაწეული მუშაობის ამსახველი სარევიზიო-საკონტროლო სამსახური სამუშაო პერიოდის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შესაბამისად. სხვაგვარად ამ სერიოზული საქმის მოგვარება მეტად რთული და განუხორციელებელიც კი ჩანს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის „შრომითი ზაფხულის" პროცესის მონაწილენი ხშირად ყველაზე მცირე გამომუშავების სამუშაოს ასრულებენ. ვითომ რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ჩაის ბუჩქის გაუხეშებამდე სტუდენტი ხელით საკრეფი მანქანით კრეფდეს ხარისხოვან ნედლეულს ან ასრულებდეს სხვა ისეთ სამუშაოს, როგორსაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები ასრულებენ?

„შრომითმა ზაფხულმა" უკვე საკმაო ხანია კარგი ავტორიტეტი მოუპოვა სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს და ასეთი სერიოზული ძალის მოცდენა მეორეხარისხოვან საქმეთა საკეთებლად, მეტი რომ არ ითქვას, გაუმართლებელია, რა მიზეზითაც, უნდა ხდებოდეს იგი. არადა, ჯერ კიდევ ყველგან როდი აფასებენ ჯეროვნად ამ ძალას. ეს თვით იმ სამედიცინო კომისიების მუშაობაზეც კი ითქმის, რომლებიც „შრომითი სემესტრის" დასაწყისში იძლევა დასკვნებს სტუდენტთა ჯანმრთელობის თაობაზე. კომისიების მუშაობაში აუცილებლად უნდა ჩავაბათ კვალიფიციური ექიმები.

კიდევ არაერთ მნიშვნელოვან საკითხსა და პრობლემას აღძრავს „შრომით სემესტრზე" ფიქრი. ამიტომაც ალბათ საქმეს დიდად წაადგებოდა, თუ რესპუბლიკაში შეიქმნებოდა სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ხელმძღვანელობის ცენტრი. ამგვარი ცენტრი, ვფიქრობთ, გაცილებით გააადვილებდა მესამე სემესტრისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა კოორდინაციას და უფრო მიზანსწრაფულს გახდიდა მას.

**ი. გიგოშვილი,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტი.

ადგილობრივი პრესის ფურცლებზე

# დროის მხარდამხარ

**ზუგდიდის** საქალაქო და რაიონული გაზეთის „მებრძოლის" სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამოქვეყნებიდან დღემდე გამოსულ ნომრებში გაანალიზებულია ქალაქისა და რაიონის მშრომელთა მიღწევები მეათე ხუთწლედში, ახალი აქტიურობა, მოუღლელი შრომა იმისათვის, რომ ისევე ხელდამშვენებული შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტთა დიდ ფორუმს, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. გაზეთში ფართოდ განიხილება ქვეყნის შემდგომი აღმავლობის პროექტი. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, ომისა და შრომის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები გაზეთის ფურცლებზე მსჯელობენ, მუხლობრივად და პუნქტობრივად იხილავენ და იწონებენ პროექტს, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, იძლევიან შენიშვნებსა და წინადადებებს და თავიანთ გულისთქმას უერთებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხმას.

პროექტის გამოქვეყნებისთანავე გაზეთში გაჩნდა ახალი რუბრიკები — „წინსვლისა და გამარჯვების დიადი გეგმები", „განვიხილავთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს", „აღმშენებლობის დიად პროგრამას — ჩვენი გმირული შემართება", „პროექტი — შთაგონების წყარო", „ახალი ამოცანები, ახალი მიჯნები", „ახალი მწვერვალებისაკენ", „მოქმედების დევიზი — დამკვრელური შრომა, ძიება", „სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად", „ყოველი დღე — ხუთწლედის სამსახურში". გაზეთი აგრძელებს თავის კარგ ტრადიციას. ამ რუბრიკებით ქალაქისა და რაიონის შრომის ნოვატორები, პარტიული ორგანიზაციის მდივნები, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მშენებლები, სახალხო განათლების მუშაკები, ყველა რგოლის ხელმძღვანელები, მშრომელები მოგვითხრობენ თავიანთი საწარმოების პერსპექტივებზე ახალ ხუთწლედში.

ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, კომკავშირის ვეტერანი თამარ ქუჩულორია წერილში „ესეც რეზერვია" წინადადებას აყენებს — ქალაქის ყველა ოჯახმა საკუთარ ეზოში მოიწიოს ბოსტნეული, განვითარდეს საკარმიდამო მეფრინველეობა და კოლექტიური ბოსტნის მოვლა-დამუშავება. წერილის ავტორი დაასკვნის: „ყველაფერი ეს ხომ რეზერვია. იგი მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ჩვენი ქალაქის სასურსათო პროგრამის განხორციელებას. კარგი იქნება, თუ ეს მომენტი თავისებურად აისახება ძირითადი მიმართულების პროექტში".

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზონალური ინსპექციის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი მ. დოჩია წერილში „ბუნებასაც ქომაგობს" გამოთქვამს აზრს: „იქნებ მიზანშეწონილი იყოს ზომებისა და სასჯელის გამკაცრება იმ პირთა და ორგანიზაციათა მიმართ, ვინც ბუნებას ორგულობს, დაუდევარ დამოკიდებულებას იჩენს სასარგებლო ღონისძიებათა შესრულებისადმი".

ქალაქის მთავარ ექიმს ე. კვარაცხელიას საჭიროდ მიაჩნია ძირითად მიმართულებათა პროექტის მეშვიდე თავში, სადაც აღნიშნულია — „გავაძლიეროთ დაავადებათა თავიდან აცილებისათვის მუშაობა", ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გავაძლიეროთ დაავადებათა და ტრავმის თავიდან აცილებისათვის მუშაობა". მკითხველ ა. შამუგიას წინადადებაა „შეიქმნას მცირე მექანიზაციის საშუალებანი პირად დამხმარე მეურნეობათა უფრო ეფექტიანი წარმართვისათვის". საკონსერვო ქარხნის მუშა ა. ხურებავა გვთავაზობს: „გაფართოვდეს საბავშვო სათამაშოების წარმოება, მნიშვნელოვნად ამაღლდეს მათი ხარისხი".

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, სახელდობრ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი მ. არდია, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები ც. თორდია და ნ. ფიფია, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები რ. ჯიქია და ო. ქანთარია, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ყალიჩავა, ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი ვ. ჭურღულია, ჩაის საწნეხი ფაბრიკისა და საკონსერვო ქარხნის დირექტორები გ. სოსელია და კ. ქირია, ფაიფურის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. მოლაშხია, დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი რ. ჯალაღანია და სხვები „მებრძოლის" საშუალებით მკითხველებს აცნობენ ქალაქისა და რაიონის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების პერსპექტივებს ახალ ხუთწლედში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესაბამისად.

ზუგდიდელ მშრომელთა წერილები, სურვილები, წინადადებები და შენიშვნები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ისინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით აღფრთოვანებულნი, მჭიდროდ არიან დარაზმული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ქვეყნის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების განსახორციელებლად.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# კინოფიკატორთა საზრუნავი

**საბჭოთა** და მსოფლიოს პროგრესული კინემატოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების ჩვენება, აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებათა ფორმების დახვეწა, იდეურ-პოლიტიკური მიმართულების სწორი ორიენტაცია ბოლო დროს ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად იქცა დედაქალაქის კინოფიკატორებისათვის.

და, მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ თბილისის კინოთეატრებში განხორციელებულ ღონისძიებებს, დავრწმუნდებით, რომ ეს საქმიანობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მაგალითად, შარშან მოეწყო კონკურსი საუკეთესო კინოთეატრის გამოსავლენად, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მეთოდიკური კაბინეტები, რომლებიც უდავოდ ხელს უწყობენ კინოთეატრების მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლებას. გაიმართა შეხვედრები კინემატოგრაფისტებთან, პირველი ხუთწლედის გმირებთან, ღვაწლმოსილ ადამიანებთან და ა. შ.

კინოთეატრები ფართოდ ეხმაურებოდნენ ღირსშესანიშნავ თარიღებს, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოური ფილმების, კერძოდ, ქართული ფილმების ჩვენება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძირითადი მიმართულებების პროექტი რომ შევისწავლეთ, ჩვენ დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. ჩვენი აზრით, კინოფიკაციის მთელ სისტემაში მთავარი მაინც კადრების საკითხია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კინოთეატრების დირექტორების, მეთოდისტების, გამქირავებელი კანტორის რედაქტორების შერჩევას.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საფინანსო ორგანოებთან ანგარიშსწორების საკითხი, რადგან შემოსავლის 55 პროცენტის გადარიცხვა ბიუჯეტში ზრდის კინოთეატრების ზარალიანობას. მათ აღარ რჩებათ სახსრები ფილმების რეკლამირების ახალ-ახალი ფორმების გამოყენებისათვის, დარბაზების გაფორმების, ინვენტარის შეძენისა და კინოდანადგარების სათადარიგო ნაწილებით დროული მომარაგებისათვის.

საჭიროდ მიგვაჩნია, პროექტის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია, რომ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კინომომსახურება, დაემატოს: გზა გადავუღობოთ სუსტი ფილმების გამოშვებას, გავაუმჯობესოთ კინოფირების გამოშვების ხარისხი.

ჩვენი აზრით, დადგა დრო, სადაც ეს მოსახერხებელი იქნება, დავიწყოთ რაიონების მიხედვით კინოთეატრების გაერთიანება, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის დირექციების შექმნა. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ მოვემსახუროთ მოსახლეობას რაიონების მიხედვით, ხოლო რეპერტუარის შედგენისას მეტი დაინტერესება იქნება საფინანსო გეგმისა და ვალდებულებების შესრულებისათვის.

**ო. თოლორაია,**
თბილისის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი.

რევაზ ჯაფარიძე

# ალაზანი დიდია

## 1.

დილაადრიან ტელეფონს მივუჯექით და სოფელ ჯაფარიძეში დავრეკეთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი, ამ სოფლის მკვიდრი და ავანჩავანი, კანტორაში არ იყო. დღეს არ მოსულა, შოფერი შინ დაიბარა და ექვს საათზე მილარის მეკამეჩეობის ფერმაში წავიდაო.

— სად არის ეგ მილარი? — შეწუხებულმა ვკითხე პარტიის რაიკომის მუშაკს, გოდერძი აბულაშვილს, რომელმაც დაპირებისამებრ სასტუმროში მომაკითხა და სოფელ ჯაფარიძემდე ჩემი მეგზურობა იკისრა.

— ალაზნის ველზე, — მიპასუხა მან.

— შორია აქედან?

— ასე, ორმოცი-ორმოცდახუთი კილომეტრი იქნება.

— ახლა ექვსზე კი არა, შვიდზეც ბნელა. ასე ადრე ფერმაში რა წაიყვანდა! ხომ არაფერი მოხდა?

— არა, არაფერი, — ღიმილით დამამშვიდა გოდერძიმ. — ძია ნიკოსათვის ეს ადრე არ არის. სამუშაო დღეს, აგერ უკვე ოცდათხუთმეტი წელიწადია, სწორედ დილის ექვს საათზე იწყებს და ღამის თერთმეტზე ამთავრებს. ექვსზე ის უკვე კოლმეურნეობის გარაჟშია და ბრიგადებსა და ფერმებს შორის მანქანებს ანაწილებს. დღეს იქ, ალბათ, უფრო ადრე მივიდა.

— ოცდათხუთმეტი წელიწადი? — გავიკვირვე, მე, თუმცა ეს ამბავი ადრე სადღაც წამეკითხა თუ გამეგონა. — თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?

— მე? ოცდაცამეტის, მე რომ დავიბადე, ძია ნიკო უკვე ორი წლის თავმჯდომარე იყო. თუ ამას იმ ოთხ წელიწადსაც დავუმატებთ, რომელიც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გაატარა, გვარიანი სტაჟი გამოუდის: ოცდაცხრამეტი წელიწადი სოფლის სათავეში!

— ახლა რამდენის არის? უკვე მოხუცებულია?

— აი, შევხვდებით და ნახავთ!

— მაინც როგორია? არ შეიძლება, წინასწარ ამიწეროთ?

გოდერძის გაეცინა და თვალები ისე ყმაწვილურად აუციმციმდა, ახლა იმ თავის ოცდაცამეტ წელსაც ალარ მისცემდით.

— აბა როგორ გითხრათ, მწერალი თქვენ ბრძანდებით და აწერაც თქვენი საქმეა. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ შეგახვედროთ და ძია ნიკოს თქვენი ჩამოსვლის მიზანდასახულობა გავაცნო.

— ჯობდა წუხელვე დაგვერეკა, — ენაზე მომდგარი საყვედური უნებლიეთ წამომცდა. — დღეს, ალბათ, უკვე გაძნელდება ნიკოს პოვნა.

— დავრეკე, განა არ დავრეკე, — თავი იმართლა გოდერძი აბულაშვილმა. — არ იყო შინ მოსული. ენამთაშიაო. ენამთაში კოლმეურნეობას დიდი ზვარი აქვს. ვაზს სხლავენ. მერე შუაღამემაც მოაწია და გადავწყვიტე, ისევ დილას დავრეკავმეთქი.

— ახლა რომელი საათია?

აბულაშვილმა საათზე დაიხედა.

— ცხრა სრულდება.

— მერე ასე მოუსვენარ კაცს, როგორადაც ის თქვენი ძია ნიკო წარმოსახეთ, ცხრაზე კანტორაში როგორღა ვიპოვით!

— არ არის ეგ ძნელი წარმოსადგენი. ხუთ-ექვს საათზე შინიდან გასული, სადაც უნდა იყოს და რა გადაუდებელი საქმეც უნდა გამოუჩნდეს, ყოჩიაშვილი ცხრაზე კანტორაში ბრუნდება. ცხრიდან თერთმეტამდე, ორი საათი, როგორც წესი, მიღება აქვს. იშვიათად, ამ ჩვეულებას რომ უღალატოს და თანასოფლელებს ან ჩამოსულ სტუმრებს ცხრაზე კოლმეურნეობის კანტორაში არ დაუხვდეს. აი, ნახეთ, ცოტაც კიდევ მოვიცადოთ და დღესაც აგრე იქნება!

გოდერძი აბულაშვილის დაპირება და ვარაუდი ზედმიწევნით სწორი გამოდგა. ჩვენ რომ სოფელ ჯაფარიძის კულტურის სასახლეს მივადექით, რომლის ერთ განაპირა პატარა ოთახში კოლმეურნეობის თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტია გამართული, ნიკო ყოჩიაშვილი უკვე დაბრუნებული იყო მილარიდან და საერთო თუ პირად საქმეზე მოსულ თანასოფლელებს ღებულობდა. მე და გოდერძი აბულაშვილიც მთხოვნელებში გავერიეთ და თავმჯდომარესთან მდივანი შევგზავნეთ.

— მე ხომ შენ გითხარ, მუდამ, პირდაპირ შემოდი, ნურავის მოგერიდება, თორემ მეწყინება-მეთქი, — მომესმა ოდნავ მოგუდული, მაგრამ გულის სიღრმიდან ამომავალი ხმა, როდესაც დერმანტინგადაკრულ კარში შევდიოდი და სმენად გადავიქეცი. განიერი საწერი მაგიდის უკან, ზურგით კედლისაკენ, ისე რომ, ფანჯრებიდან შემოსული სინათლე ბეჭებზე სცემდა, მთასავით ახოვანი, ზომიერად სრული, მხარ-ბეჭში ლაღად გაშლილი, თმაგაჭაღარავებული, ახალგაზრდულად თვალებმობრიალე კაცი დავინახე. რაღა თქმა უნდა, ეს თვით ნიკო ყოჩიაშვილი იყო! ტანმომცრო აბულაშვილის ხელი მას კვლავ ხელში ეჭირა და რამდენიმე ათეული წლით უმცროს მეგობარს ცოტა არ იყოს ირონიული ყურადღებით მოიკითხავდა.

— გვაპატიეთ, ძია ნიკო, უდროო დროს შემოგეჭრით, — მიუხედავად მასპინძლის საყვედურებისა, გოდერძიმ მაინც მოიბოდიშა, მე წარმადგინა და თან წამდაუწუმ კარისაკენ იყურებოდა, — გარეთ ბევრი ხალხია. იქნებ ჯობს, მოვიცადოთ და...

— მანდ სულ აგრეა, — დააიმედა ნიკომ, მაგიდაზე გადმოიხარა, გრძელი ხელით სკამს მოსწვდა და გამომიწია. — დაბრძანდი! სოფელში რომ ვინმემ თითი გაიჭრას, სისხლიც რომ არ გამოსდინდეს, მაინც ჩემკენ გამორბის. ეგეთი ყოფილა თავმჯდომარის ბედი! მაგათ რომ ვუყუროთ, მაშ, მეგობრები ერთმანეთს ველარ შევხვედრივართ? საათ-ნახევარში ყველას დავეფერთხავ, ერთიც ალარავინ იქნება. როგორა საქმე, წავიდა ი შენი სტუმარი?

— თქვენ რა იცით, ძია ნიკო?

— როგო არ ვიცი, კაცო, მაგადანიდან წითელწყაროში სტუმარი ჩამოვიდეს და ჯაფარიძეში ვერ გავიგებთ? მა ყურები რაილასთვის გვასხია?!

— ჯერ არ წასულა, აქ არის. მოსწონს აქაურობა. აი, კონფერენციას მოვრჩებით და თბილისში უნდა გავატარო.

— აგრე! ის არ აფიქრებინო, რომა... თუ რამეში დაგჭირდე, გახსოვდეს, ძია ნიკო აქ არის! — ყოჩიაშვილმა გაიღიმა, საწერი მაგიდიდან ვეება ტორი გადმოყო და აბულაშვილს მხარზე მამაშვილურად მოუთათუნა.

— გმადლობთ, ძია ნიკო, ეგ როგორ დამავიწყდება!

მდივანი ქალი შემოვიდა, გრაფინით წყალი შემოიტანა, თავმჯდომარეს მიმარჯვებულ ჭიქაში დაუსხა და წვეთებით დაწინწკლული გრაფინი, რაც იმას მოწმობდა, რომ სწორედ წუთის წინ აევსოთ, იქვე თეფშზე დადგა.

— ხომ არ ინებებ? — მომმართა ნიკომ და ჭიქა მომიწია. — დალიე ჩვენებური წყალი. განა ხვალაც მექნება, რომ მოგაწოდო? დაილოცოს ამისი მადლი! იმას რა მოჰკლავს, ვისაც ეს გამოულევლად აქვს, გახსნის ონკანს და რამდენსაც უნდა, გამოუშვებს!

მადლობა ვუთხარი, თანაც გამიკვირდა, ნეტავი რას მიარაკებს-მეთქი. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ წითელწყაროს რაიონში, თითქმის უკლებლივ ყველა სოფელსა და ფერმაში, სასმელი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიან. სასმელი წყალი აქ ლაგოდეხიდან გამოუყვანიათ, მაგრამ სანამ ის წითელწყაროს ამოაღწევდეს, ჯერ სიღნაღი უნდა გამოიაროს. ლაგოდეხიდან თვითდინებით დაშვებული წყალი წნორიდან სიღნაღში იტუმბება, აქედან კი ისევ ტუმბოების დახმარებით გზას წითელწყაროს ზეგნებისაკენ მოიკვლევს...

— გონებამახვილურად მოუფიქრებიათ, — მოვიწონე მე კონსტრუქცია, როცა ყოველივე ეს ამიხსნეს. — თუ, რასაკვირველია, სატუმბავი სადგურები შეუფერხებლად მუშაობენ და მთელ წყალს უდანაკარგოდ ტუმბავენ!

— ოო, ეგ არის სწორედ ჩვენი გასაჭირიც! — სიტყვა ჩამომართვა ნიკო ყოჩიაშვილმა, — ხან ერთ სადგურში ხდება შეფერხება, ხან მეორეში, ხან დენის მიწოდებას შეუწყვეტამენ, და ჩვენ კი აქ წყურვილისაგან ხახა გვიშრება!

— ის როგორ იყო, ძია ნიკო, — გაახსენა გოდერძი აბულაშვილმა. — ტრიბუნაზე რომ იხუმრეთ, ჯაფარიძელებს იმდენი წყალი მაინც მოგვაწოდეთ, რამდენსაც რძეს ვიძლევითო? — და ჩაბჟირდა, თვალებიდან კურცხლები წამოუვიდა.

— მაშ, კაცო, — თქვა ნიკომ და გოდერძის შემხედვარეს თავადაც ღიმი მოერია.—შენ ხუმრობა დაუძახე, მე კი მართალი ვთქვი! — და მე მომიბრუნდა. — ახლა კი გისმენთ. რით შეგვიძლია გემსახუროთ?

მე მოკლედ ვაუწყე, აქ რა საქმემაც მომიყვანა.

— სტუმარი ღვთისაა, — მითხრა ნიკომ. — ვეცდებით, ყველაფერი გულმართლად გაჩვენოთ და ჭირი და ლხინი გაგიზიაროთ!

— ის კი არ მინდა, საქმეში ხელი შეგიშალოთ, — ვითომდა გავუადვილე მე. — იმუშავეთ, აკეთეთ თქვენი საქმე, როგორც ყოველთვის, და თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მეც თქვენს გვერდით ვიქნები. სადაც წაბრძანდებით, მეც თან წამიყვანეთ!

— შეიძლებ კი ამდენს? — ყოჩიაშვილმა მარჯვენა თვალი მოწკურა, ეშმაკურად, უკვე ძველი ნაცნობივით და მეგობარივით გამომხედა.

მე ტრაბახის გუნებაზე დავდექი:

— როგორ არა, ძველი ჯარისკაცი ვარ!

— შენ იცი...

ნიკომ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მდივანი ქალი შემოვიდა.

— ბევრია იქ ხალხი?

— არიან, დიახ, ძია ნიკო....

— არ შეიძლება, ზოგი ხვალ მოვიდეს? ვერ ხედამენ, სტუმრები მყავ? ყველაზე უფრო ვის ეჩქარება?

— ყველას ეჩქარება, ძია ნიკო, რა ვიცი...

— შემოვიდნენ! — გადაწყვიტა მან უცებ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უმალვე შეცვალა. — ის შემოვიდეს, ვისაც ყველაზე უფრო ეჩქარება. სხვები სახვალიოდ დაიბარე!

მდივანმა კარი გაიხურა და იმავ წამს თავმჯდომარის კაბინეტში თვრამეტ-ცხრამეტი წლის პირტიტველა ჭაბუკი გაჩნდა. ნაფოტაკბილებიანი, თვალებმომცინარე მორცხვი ბიჭი იყო და უფროსების წინაშე მეტი თავაზიანობის გამოსაჩენად კიბოსავით დაწითლებულ დიდრონ ხელებს ზურგს უკან მალავდა.

— შენ ვინა ხარ, კაცო? — მოგონილი სიმკაცრით ჰკითხა ჭაბუკს ყოჩიაშვილმა და ხელი თვალებთან მიიტანა, ვითომ შორიდან გახედა.

— ე! ველარა მცნობ, ძია ნიკო? — ბიჭმა უკან დაიხია, ზურგით კარს აეკრა. ვერ დაეჯერებინა, რომ თავმჯდომარემ, რომლისგანაც ამდენი სიკეთე ახსოვდა, მართლა ვერ იცნო. — ბადრი ვარ, იაკობიშვილი!..

— გამარჯობა შენი! ამ დროს აქ რა გინდა, ვაჟბატონო, რატო ქარხანაში არ წახვედი?

— ხარჯი შემოგვაკლდა, ძია ნიკო. კბილით გასაკვნეტი აღარაფერი გვაბადია. დირექტორმა, თავმჯდომარესთან მიდი, მანქანა სთხოვე, ჩვენი ამბავი უთხარი და რაც გამოგატანოს, წამოიღეო.

ამას რომ ამბობდა, ჭაბუკს რამდენჯერმე აუარა და დაუარა ფერმა, მაგრამ პირზე ღიმილი მაინც არ შორდებოდა, ნაფოტა კბილებს ვერა და ვერ მალავდა, ეტყობოდა, ამ კეთილი, პაპისტოლა კაცისაგან განებივრებული იყო. ეს მე და გოდერძი აბულაშვილმაც უმალ შევნიშნეთ და ხან გოროზად წარბებშეკრულ თავმჯდომარეს შევხედავდით და ხანაც საიდანღაც მოსულ ახალგაზრდა მთხოვნელს.

— გარაჟში რატო არ ამოხველ, ბიჭო, თუ აგრეა საქმე, ახლა მანქანა საიდანღა გამოგიწერო, ჯიბეში ხომ არა მყავს!

— ვიყავი გარაჟში და ასე მითხრეს, გაგასწროო.

— ეგ იმიტომა, რომ ძილისგუდა ხარ და დილას ადრე ადგომა გეზარება! ამ პატიოსანი ხალხის ხათრით ეს ერთხელ მიპატიებია. დაწერე, რა, გჭირდება და ბუღალტერს მიე. რაღას მამჩერებიხარ, აქ მაიმუნებს ვათამაშებ?

— უკვე დავწერე, ძია ნიკო!

— მერე? მაიტა! სად არის?

— ბუღალტერიაში!

— წადი, ბუღალტერიც მაიყვა და ისევ შემოდი!

გახარებული ბიჭი, რომ დირექტორის მონდობილი საქმე ასე ადვილად და უმტკივნეულოდ გაარიგა, ადგილზევე მიტრიალდა და კარი თვალის დახამხამებაში გაიხურა.

— იცით, ეგ ვინ არის? — გვკითხა ნიკომ. — უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ჩემი შემცვლელია!

— ხუმრობთ თუ მართლა? — მე და გოდერძის უნდობლად გაგვეღიმა.

— ათწლედი შარშან დაამთავრა. უმაღლესში წასვლა და მისაღები გამოცდების ჩაბარება არც უფიქრია, თუმცა, როგორც ამბობენ, ურიგოდ როდი სწავლობდა. აგრე უთქვამს: თუ ძია ნიკოს უმაღლესი არ დაუმთავრებია და სპეციალურ საშუალო განათლებას დასჯერდა, იმიტომაც ვერ არის კაციო. მე აქ უნდა დავრჩე და ძია ნიკოსავით თავმჯდომარე უნდა გამოვიდეო.

მე და გოდერძი აბულაშვილს გულიანად გაგვეცინა, გაეცინა ნიკო ყოჩიაშვილსაც.

— აღარ მაცლის, ჩემი ნებით როდის ავიკრავ გუდა-ნაბადს, ადგილის წართმევას მიპირებს. მამეწონა ეგ ბიჭი. ტარიბანაში წავიყვანე და რთველში მწონავად მყავნდა. მეც შენოდენა ვიყავ და აგრე დავიწყე-მეთქი. რა იმუშავა! დღესა და ღამეს ასწორებდა! ყველა მაგისი მადლიერი და მაქებარი იყო. ეგ აგრე არ უნდა-მეთქი, იქიდან წამოვიყვანე და აგურის ქარხანაში, ალაზნის პირზე რომ გვაქვს, საწყობის გამგეობა მივანდე. კინაღამ გაგიჟდა. არა სჯეროდა. რად დამცინი, ძია ნიკოო, შემომჩივლა, აბა სად მე და სად ამოდენა საწყობის გამგეობაო. სხვებსაც ბევრს ეგონა, რომ ვხუმრობდი. გუშინდელ ბალღს მაგისთანა დიდ საქმეს არ ვანდობდი. ვანდე! მერე? რა წავაგე?! იგრე მუშაობს, შენი მოწონებული! ვუყურებ და, ბალღებსა ვფიცავ, ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება!..

აქ კარი ისევ გაიღო და კაბინეტში ამჯერად ორნი შემოვიდნენ: სიხარულისაგან თვალებგაცისკროვნებული ბადრი იაკობიშვილი და იღლიებში ყავარჯნებშეყენებული შუახნის კაცი, კოლმეურნეობის ბუღალტერი.

— რა ჰქენ, ყველაფერი გამოუწერე, რაცა გთხოვა? — მიაგება ბუღალტერს ნიკომ. — არაფერი დააკლო, თორემ ხომ იცი, ეგ „კოლხოზის" მომავალი თავმჯდომარეა და დანაკლისს შენი კისრიდან ამაილებს! აგრე არ არის, ბადრი?

— ნუ მარცხვენ, ძია ნიკო!..

— აგურის საქმე როგოა?

— გუშინ ლუმელი გავხსენით. ჩვენი დირექტორი ამბობს, ზეგ, თუ გავუძელით, გამოღებას დავიწყებთო.

— ცხელია?

— ჟუუ!

— ძველი გაიტანეს?

— არა, დღეს აპირებენ გატანასა.

— თიხას აღარა ზელამთ?

— არა, ძია ნიკო.

— რატომა?

— დირექტორმა თქვა, საშიშიაო. თუ ყინვა დაიჭირა, გაშრობას ვერ მოასწრებს, მოგვეყინებაო.

— მერე, სინოპტიკოსები რაღასთვის არსებობენ? ვერ უნდა გაიგოთ, შეიცვლება ამინდი თუ არა? აგრე გადაეცი იმ შენს დირექტორს. ქარხანა არ მომიცდინოთ! წადი მაშ, — გამომცდელად უთხრა სახელანძულ ბიჭს ნიკომ და ხელმოწერილი ზედნადებები გაუწოდა. — ფრთხილად იყავი, არავინ არაფერი მოგატყუოს!

— მე, ძია ნიკო? ვინ უნდა მომატყუოს!

— აბა, რა ვიცი, ავი კაცი განა ცოტა ამძიმებს დედამიწას!

— ერთი არაფერი მინდა...

— ნაცარქექია! — კმაყოფილი ღიმილით თქვა ნიკო ყოჩიაშვილმა, როცა ბუღალტერი და ბადრი იაკობიშვილი კაბინეტიდან გავიდნენ, და ზეზე წამოდგა, უკანა კედელზე დაკიდებული სურათი მხრებით მთლიანად დაფარა.

## 2.

**წითელწყაროში** წყაროების კულტია. რაიონის ცენტრის ახლომახლო წყაროები არცთუ ცოტაა. შეიძლებოდა მათი ერთად შეკრება და ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ლაგოდეხიდან სიღნაღში სიღნაღიდან კი აქ სასმელი წყლის მოყვანას დასჭირდა, წყალსადენის მოწყობა, მაგრამ უფრო ხშირად ისინი ტოპონიმებში, ადგილმდებარეობათა სახელწოდებებში მოიხსენებიან: წითელწყარო, თავწყარო, სამთაწყარო...

აქედან პირველი ორი ზედ ქედის ზურგზეა, მესამეს კი ალაზნის პირას წაადგები.

რაიონულ ცენტრზე გადაბმულ სოფელ ჯაფარიძეს აღმოსავლეთიდან ორი ტბა ეკვრის, ნამდვილი ლურჯი ტბა, ზამთარ-ზაფხულ თევზით სავსე. უბირი კაცი, აქ პირველად რომ მოსულხარ და ყოველივეს ხარბად აკვირდები, როგორ იფიქრებ, თუ უწყლო წითელწყაროში მებადურებსაც შეხვდები, რომლებიც ნებისმიერ დროს, როცა ამას დადგენილი წესები არ უკრძალავთ, ბადით თუ ანკესით მკლავის სიგრძე თევზებს იჭერენ და ბარაქიანი ნადავლით კალათებს ავსებენ. ორივე ტბა სასწაულმოქმედი ბუნების გულუხვი საჩუქარია, თევზი კი გამრჯე ადამიანის მარჯვენამ მოაშენა და იმდენად მოამრავლა, რომ მას სამრეწველო მნიშვნელობაც კი აქვს.

ახლა ზამთარია. ტბების ირგვლივ გადაშავებულ ნათესებში, შირაქის ველისაკენ მიმავალი მოასფალტებული გზა შუაზე რომ ჰყოფს, საშემოდგომო ხორბალი ამოჯეჯილებულა და სანახევროდ მიძინებული ბუნება გაუცოცხლებია. უფრო შორეულ გორაკებზე და კლდოვანი ქედის ძირში განიერფანჯრებიანი ქვითკირის მოგრძო შენობებია გაბნეული. ეს ჯაფარიძელთა მეფრინველეობის ფერმაა. აქ ფერმის სამი ბრიგადა დაბინავებულა და სამივე კვერცხისმდებელი ქათმებითაა სავსე. დიდრონ ეზოებში, მავთულის ბადურა ღობით რომ შემოუკავებიათ, უთვალავი თეთრი ქათამი ირევა. ეს მომცრო ტანის ქათმები კვერცხისმდებელი ჯიშისაა. მათ შორის წითელ-წითელი მამლაყინწები დააბიჯებენ და თავიანთი სიდიდით დედლებისაგან შესამჩნევად გამოირჩევიან.

— მამლები სახორცე ჯიშის გახლავს, — ამიხსნა ნიკო ყოჩიაშვილმა და ფერმის გამგე, ლაჟღაჟა, გრუზათმიანი, მაგრამ სრულიად გაჭაღარავებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ვიქტორ გოგილაშვილი გამაცნო. — ამ ჯიშის ფრინველი ენამთის ბრიგადაში გვყავს. იმასაც ვნახამთ!

—აჯვარებთ თუ რა? — დავინტერესდი მე.

— ვაჯვარებთ, მაშა, განა ჩვენ კი არ შეგვიძლია შეჯვარება? გვინდა, იმას მივაღწიოთ, რომ ქათამმა კვერცხიც ბევრი დაგვიდოს და ხორციც ბლომად მოგვცეს. ენგრე არ აჯობებს?

— იცოცხლე, უკეთესია!

— როგოა კვერცხის საქმე? — ჰკითხა ნიკომ ფერმის გამგეს.

— ათას ოთხასს ვკრეფთ ბრიგადაში, — გაუბედავად მიუგო ვიქტორმა და შევატყვე, თავმჯდომარის მკაცრი საყვედურის მოსასმენად მოემზადა.

— ცოტაა! — მართლაც შეიკრა წარბი ნიკო ყოჩიაშვილმა. — სამი ათასი მაინც უნდა იყოს. ხომ გახსოვს, ზაფხულში ხუთიათას-ხუთიათასი ავკრიფეთ.

— აცივდა, — თქვა ფერმის გამგემ. — ქარიც არ გვასვენებს...

— შენც ნუ გამოუშვებ გარეთ, როცა ცივა და ქარია. ეგეც რომ არა, სად იყო ქარი, ცოტა ნიავმა დაუბერა. დაიხვევენ ხელზე! მოიტანეთ სილოსი, მწვანე მასა დაუყარეთ, მიდექ-მოდექით. ნუ დაგავიწყდება, ვიქტორ, კვერცხის ჩაბარების გეგმის შესრულებას ცოტა კიდევ აკლია. არ გვაწყენს, თუ გადავაჭარბებთ. სხვასავით ხომ არ წავალ და სახელმწიფოსათვის მისაყიდ კვერცხს ბაზარში არ ვიყიდი!

— ღმერთმა ნუ ქნას, ნიკო ბატონო!

— შენ იცი: ინკუბატორი? გაამზადეთ უკვე ყველაფერი?

— მობრძანდით, ნახეთ!

თმაჭაღარა ვიქტორ გოგილაშვილი, რომლის უმცროსი ძმა გურამი მეცხვარეობის ფერმის გამგეა და საკუთარ ოჯახში მხოლოდ ზამთრობით ცხოვრობს, დანარჩენ დროს კი ცხვრის ფარებთან ერთად საზაფხულო იალაღებზე ატარებს, წინ გაგვიძღვა და ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით კიდევ ერთ მოგრძო, კირით შეფეთქილ ფართოფანჯრებიან შენობასთან მიგვიყვანა. იქ უკვე დაენახათ თავმჯდომარის შავი ვოლგა, რომელსაც ყოჩიაშვილის განუყრელი შოფერი და მექანიზატორების გაჭირვების ტალკვესი დავით ლეკიაშვილი მართავდა, და თეთრხალათიანი მომსახურე ქალები გარეთ გამოფენილიყვნენ.

ინკუბატორის გარდა, კვერცხისმდებელი და სახორცე ჯიშის წიწილებით არამარტო ჯაფარიძელთა მეფრინველეობის ფერმას, არამედ მეზობელ კოლმეურნეობებსა და რაიონებსაც რომ ამარაგებს, აქ კიდევ ოთხი ბრიგადა აღმოჩნდა: ორი საწიწილე და ორიც მოზარდეულისა. თითოეულ ბრიგადაში სამ-სამი კაცია. ფერმა მთლიანად ოცდაერთ კაცს ითვლის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარდა ახლადგამოჩეკილი წიწილებისა და მოზარდეულისა ეს ოცდაერთი კაცი 52 ათას ფრთა ქათამს უვლის, ადვილად დავრწმუნდებით, რა დიდი შრომის გაწევა უხდებათ მეფრინველეებს, დაკისრებული საქმე პირნათლად და ყველა სავალდებულო წესის დაცვით რომ შეასრულონ.

ინკუბატორი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოუწყვიათ. შენობასა და გამოსაჩეკ აპარატებში მუდმივი ტემპერატურა და საჭირო ტენიანობაა. მომიჯნავე ვეებერთელა დარბაზში იატაკზე ნამჯაა დაფენილი. ყოველ ნაბიჯზე წიწილების დასარწყულებელი და საკენკის დასაყრელი პაწაწინა გეჯები დგას. დარბაზი ცენტრალური გათბობის ბატარეებით გაუღულუნებიათ და საგანგებოდ გაუნათებიათ. კიდევ რამდენიმე საათიც და ინკუბატორის უჯრებში ჩაწყობილი ათასობით კვერცხიდან წიწილები გამოიჩეკება და მათ მაშინვე აქ, წინასწარ მომზადებულ სადგომში გადმოიყვანენ...

არა, ეს არ არის მეფრინველეობის უბრალო ფერმა, როგორიც კი აქამდე სადმე მინახავს, ეს მთელი ფაბრიკაა მეფრინველეობისა, სადაც ამ საქმეში დახელოვნებული გამოცდილი ადამიანები ფრინველის გამოსაზრდელად და კვერცხისა და ხორცის მისაღებად მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაფუძნებულ ინდუსტრიულ მეთოდებს იყენებენ.

მანქანა თავდაღმა დაეშვა და მალე ჯეჯილით აბიბინებულ ველზე გაივაკა. მარცხნივ ვტოვებდით ლაქაშებში განაბულ ტბას, რომელშიაც ულრუბლო ცა ირეკლებოდა და ძლივ შესამჩნევად ტორტმანებდა, ხოლო მარჯვნივ — ქოჩების გორას, სადაც სეტყვის მაძიებელი ვეებერთელა ლოკატორები იდგნენ და დადარაჯებულთ პირი ცისკენ მიეპყროთ. ადრიანი დილა იყო. მინდვრები და გზისპირები თრთვილს შეესუდრა. თრთვილი მწვანედ მოხასხასე ჯეჯილსაც მოსდებოდა და კიდიდან კიდემდე გადაეთეთრებინა. შორს, სადღაც შირაქის თავზე, ცისკიდურს ცეცხლი ეკიდა. მზე ამოდიოდა და მისი მოციმციმე სხივები ყოველივეს ოქროს აბლაბუდაში ხვევდა.

კახეთის ამ ნაწილში დაუბრკოლებელი მიმოსვლისათვის საჭირო გზებით თავს მაინცდამაინც ვერ მოვიწონებთ, მაგრამ, ალაზნისპირისა და ტარიბანასაგან განსხვავებით, შირაქისაკენ კეთილმოწყობილ გზატკეცილს მიყავხარ. წითელწყაროდან ზემო ქედამდე, ვაჟა-ფშაველას თაოსნობით შირაქის ველზე გაშენებულ პირველ სოფლამდე, სადაც ოციანი წლების მიწურულში ლეგენდარული კომუნა შეიქმნა და ძისმა პირველმა თავმჯდომარემ, კოზა ჩოხელმა, ხალხში უკვდავი სახელი დასტოვა, 31 კილომეტრია. მთელი გზა ტრიალ ველზეა გაჭიმული, თითქოს სახაზავით სუფთა ქაღალდზე გაუყვანიათო, და ერთთავად აღმოსავლეთისაკენ მიემართება, ვიდრე ზემო ქედის ჩამოსწვრივ ჩრდილოეთისაკენ არ მიუხვევს და აღმართს არ შეუდგება. სოფლის შესასვლელში ტრიუმფული თაღი აღუმართავთ. თაღის წინ მაღალ კვარცხლბეკზე დგას პირველი ტრაქტორი, კოზა ჩოხელმა რომ ზემო ქედში შემოიყვანა და სათავე დაუდო სოფლის განახლებას.

— ეს რა ხეებია? — ვკითხე მე თანამგზავრებს, როდესაც ქოჩების გორა შორს მოვიტოვეთ და მწვანედ მობიბინე ველზე ხეების სწორი და საკმაოდ განიერი მწკრივები დავინახე. მწკრივები ველს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჰკვეთდა და ბზის უზარმაზარი ზვინების უკან თვალს ეფარებოდა.

— ქარსაცავი ზოლია, — მიპასუხა ნიკომ და ხელი მოიჩრდილა, რადგან უკვე შუბისტარზე შემდგარი მზე შიგ თვალებში გვცემდა. — ეგ ზოლი რომ არა, აქაურობას ქარი წაიღებდა. შირაქში საშინელი ქარი იცის.

— რა ხეებია? თითქოს კურკოვანები უნდა იყოს.



ნიკო ყოჩიაშვილი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნახატი.

—დათო, ცოტა ნელა წაიყვა, შე კაცო, სად მიგეჩქარება!

დავითმა სვლა შეანელა.

— სწორედ კურკოვანებია, — განაგრძო ნიკო ყოჩიაშვილმა.— ჭერამი, ქლიავი, ალუბალი და გარგარი ჩავყარეთ. რაღა უნაყოფო ხეები დაგვერგა! ქარს გარგარი და ალუბალიც კარგად აკავებს. ბევრსაც ისხამს. აქაურ პაპანაქება სიცხეში პირის გასველება ერთ რამედა ღირს. ხალხი კრეფს. სამურაბედ და საკომპოტედ მიაქვს. არავის ვუშლით. მკა რომ დაიწყება და ყანებს დედაბუდიანა შევესევით, ეს ხილიც სწორედ მაშინ არის შემოსული. წითელწყაროში ერთი ღვთისნიერი რაიკომის მდივანი გვყავდა. თქვენ არ გეცოდინებათ. ხორნაბუჯის ციხე იმან შეაკეთა და ციხესთან წყალი, განათება და ტელეფონიც იმან მიიყვანა. მოსავლის დღესასწაულს ვმართავდით ხოლმე. გამოგვიძახა ერთ დღეს თავმჯდომარეები და ამ გზის გასწვრივ, ახლა რომ ვადგავართ, კაკლის ხეივნის გაშენება დაგვავალა. ადვილი საქმე არ იყო. უწყლოდ, ნერგს და ისიც კაკალს რა გაახარებს! გადავზომეთ და ჯაფარიძელებს ოთხკილომეტრნახევარი გვერგო. ვიშოვეთ კაკლის ნერგები, ამოვთხარეთ ორმოები და დავრგეთ. მოსარწყავ წყალს ურმებით ვეზიდებოდით სოფლიდან. მარტო ჩვენმა ნაწილმა გაიხარა. ახლა მართლაც სანაქებო ხეივანია. ზაფხულში ჩრდილში მაინც დაჯდება მუშაკაცი და სულს მოითქვამს. მოსხმითაც ბევრს ისხამს. ცოტა დამსხვილდება თუ არა, დაედება ხალხი. საიდან არ მოდიან. ოღონდ ნურაფერს გააფუჭებენ და ღმერთმა შეარგოთ!..

— ახლაც რწყავთ?

— არა, რა ხანია ნებაზე მივუშვით. დათო, ფერმაში მივდივართ, ხომ იცი,— მიმართა შოფერს და ისევ მე მომიბრუნდა. —კაკალს პირველად უჭირს, მაგრამ თუ გაიხარა და ნიადაგში ფესვები გაიდგა, მერე აქეთ გადაგიხდის ვალს!

გუდრონით მოგებული ლარივით სწორი გზიდან, წითელწყაროდან „ქედებისაკენ" რომ მიემართება, მარჯვნივ გადავუხვიეთ და ქარსაცავი ზოლის გასწვრივ გეზი ველზე გაბნეული შენობებისაკენ ავიღეთ. მალე ეგვიპტური პირამიდებივით ცამდე აღმართულ ბზის უზარმაზარ ზვინებს შორის აღმოვჩნდით. ბზე აქ ვრცელი შირაქის ველის ყოველი მხრიდან არის მოტანილი. თოვლს რომ დასდებს და პირუტყვის ბაგური კვება დაიწყება, მას მანქანით აქუცმაცებენ, შიგ ყუათიან მწვანე მასას ურევენ და საკვებად მხოლოდ ამ სახით იყენებენ. მზრუნველი ხელით შეზავებულ საკვებს საქონელი ხარბად შეექცევა. მაგრამ ბაგური კვება ჯერ შორია. ასობით ჯიშიანი შავ-თეთრი ფური გარეთ გამოფენილა და ფერმის ირგვლივ გაშლილ თვალუწვდენელ საძოვარზე დაბალახობს. ვიდრე ზამთარი თავისას იზამდეს და მიწას თოვლის საფარველით დაფარავდეს, მეწველ პირუტყვს ბუნებრივი ნედლი საკვები არ აკლია.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ერთ ადგილზე თავმოყრილი ფერმის გარშემო ათობით ჰექტარ ფართობზე ბალახი, უპირატესად იონჯა და ესპარცეტი, ადრიან გაზაფხულისათვის კი ქერი, საგანგებოდ ითესება. ფერმას საკუთარი სატრაქტორო ბრიგადა ემსახურება. მას საძოვრების მოხვნა და საკვების მოყვანა ევალება. აქვეა სათანადო მექანიზმებითა და მანქანა-იარაღებით აღჭურვილი საკვებმომპოვებელი ბრიგადაც. ყველა სხვა საქმის შესრულებასთან ერთად ამ ბრიგადამ წელს ასი ათასი ძირი აკაციის ნერგი დარგო და გაახარა. აკაციის ნორჩი ფოთოლი სილბოსა და სინოყივრეს აძლევს დაკეპილ უხეშ საკვებს — ბზესა და ჩალას, აგრეთვე სოიისა და ლობიოს ბარდებს, რომელთან ერთადაც მას ასილოსებენ და ცელოფანგადაფარებულ რკინა-ბეტონის მრავალტონიან ორმოებში ინახავენ. ორმო ისე დიდია, რომ ცალი მხრიდან შიგ ავტომანქანა შედის და საკვებით მექანიკურად იტვირთება.

მწვანედ მობიბინე მინდორი, საძოვარი დიდ-დიდ კვადრატებად არის დაყოფილი და კვადრატებს ოთხივე კუთხივ ეკლიანი მავთულის ღობე არტყია. ეს იმისათვის, რომ საძოვარზე გამორეკილმა საქონელმა ბალახი აგროტექნიკოსთა მიერ დადგენილი რიგის მიხედვით მოძოვოს, აქეთ-იქით უქმად არ ირბინოს და მწყემსების სურვილის წინააღმდეგ საძოვრის ერთი ნაკვეთიდან მეორე ნაკვეთში თვითნებურად არ გადავიდეს.

ჯოგს რომ სულ უკანასკნელი ნაკვეთის ჭიშკარს გაულებენ და შიგ შერეკავენ, პირველ-მეორე-მესამე ნაკვეთში გაძოვილი ბალახი უკვე ამობიბინებულია და მზადაა პირუტყვის მისალებად. ასე ხდება მთელი წლის განმავლობაში, სანამ თოვლი მოვიდოდეს და არემარეს თეთრად გადაპენტავდეს. მწვანე ბალახის საძებრად პირუტყვს ერთი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც აღარ სჭირდება!

ეს ხომ უბრალო, პრიმიტიული მეჯოგეობა არ არის, რომელსაც საუკუნეობით შევეჩვიეთ. გარდა იმისა, რომ ბაგაზე დიდად გაუმჯობესებული ჯიშის მეწველი ფურები უყენიათ, მათს კვებასა და მოვლა-პატრონობაში ჯაფარიძელ მეცხოველეებს ამ დარგში დაწინაურებული ქვეყნების მდიდარი გამოცდილება გამოუყენებიათ და შედეგიც სასურველი მიუღიათ.

საშუალო წველადობამ ჯაფარიძელთა მეძროხეობის ფერმაში ორი ათას შვიდას კილოგრამს მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმაში ბევრია ძროხა, რომელიც წლის განმავლობაში სამ ტონასა და მეტ რძეს იძლევა.

განა სასწაული არ არის?

ბალანაბზინებული, თვალებბრიალა ვეება ძროხები მუყაითად ძოვენ ცხოველმყოფელი წვენით გაჟღენთილ ბალახს, ფრთვინავენ, თითქოს სულს იბრუნებენ და ბოჯინჯგალა ფეხებს ნება-ნება ინაცვლებენ. რძით სავსე ცური გასკდომაზეა. სადაცაა რძე თვით იპოვნის გზას და დაიღვრება. ამიტომ არის, რომ ფურებს დღეში სამჯერ წველიან — დილით ადრე, შუადღისას და საღამოს, რათა პირუტყვი მოწოლილმა რძემ არ შეაწუხოს და ამ მიზეზით წველადობამ არ მოიკლოს.

შორს რომ არ წავიდეთ, ბარემ აქვე ვთქვათ ისიც, რომ ჯიშების შერჩევამ, საკვები ულუფის ზუსტად განსაზღვრამ და მეცნიერების მონაპოვრებზე დაფუძნებულმა გონივრულმა მოვლამ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში სახორცე პირუტყვის საშუალო წონა ოთხას კილოგრამამდე გაზარდა, მეორე მხრივ კი ამ გარემოებამ პირუტყვის სულადობის შენარჩუნების საიმედო გარანტია მოგვცა.

მაგრამ განა ეს ზღვარია?

რამდენიმე წლის წინათ მე ვინახულე ერთი ფერმა ჩრდილოეთ საფრანგეთში, ნორმანდიაში, სადაც საძოვარზე გაშვებული სახორცე პირუტყვის სუქებას სწორედ ოთხასი კილოგრამიდან იწყებენ და მხოლოდ მაშინ კლავენ, როდესაც ცოცხალი წონა ათას ორას კილოგრამს მიაღწევს. უფრო მაღალი მაჩვენებელია მიღწეული სამხრეთ ამერიკასა და კანადაში!

რაკი ასეა, მაშასადამე, მსოფლიო მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და ახალი გიგანტური ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გამოიყვანა. როგორ მოვიქცეთ? თავიდან შევუდგეთ ჩვენამდე უკვე გამოგონილი ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას? არა, რასაკვირველია, ეს ზედმეტ დროს და სახსრებს წაგვართმევდა.

რაოდენ შვებას იგრძნობ კაცი, როდესაც ეს საჭირბოროტო ფიქრი თუ კითხვა პასუხგაცემული დაგხვდება წითელწყაროს მომიჯნავე ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სახბორე რეპროდუქტორში!

აქ ხელოვნური დათესვლით მიღებულ კოსტრომულ და კანადურ ხბორებს ზრდიან. მრავალი კაპიტალური შენობისაგან შემდგარი უზარმაზარი კომპლექსი, სულ ახლახან რომ დაუმთავრებიათ და ჯერ მთლიანად ათვისებული არც კი არის, ჩვენს პირობებთან შეფარდებით სახორცე და სარძეო პირუტყვის გამოსაზრდელი მძლავრი საწარმოა. მას წელიწადში, როცა საბოლოოდ დაკომპლექტდება, ათი ათასი ჯიშიანი ხბო უნდა გამოზარდოს. რეპროდუქტორი აღჭურვილია საკვებგადამამუშავებელი უახლესი მანქანებითა და ავტომატიკით, რომელთაც ქათქათა თეთრ ხალათებში გამოწყობილი ქალიშვილები მართავენ. მეძროხეობის ფერმაში მოგებული ხბო რომ ოცი დღისა გახდება და დადგენილი წესის მიხედვით დედის ძუძუს მოწყვეტენ, იგი რეპროდუქტორში მოჰყავთ, ზრდიან ხუთ თვემდე და შემდევ ე. წ. „მეორე ასაკის გამოსაზრდელში" ათავსებენ. გამოსაზრდელში ხბო ერთ წლამდე რჩება. აქედან მოზვრები სასუქ მოედნებზე მიჰყავთ შემდგომი სუქებისათვის, დეკეულებს კი ხელოვნური დათესვლით ამაკებენ და მეძროხეობის ფერმას უბრუნებენ, საიდანაც პროცესი თავიდან იწყება.

რა მოხდებოდა ყველგან, ყველა რაიონში, ყველა სოფელსა და ფერმაში ასე რომ გვქონდეს საქმე? ეს კითხვა ბუნებრივად იბადება და პასუხიც იქვეა: მაშინ არ გვექნებოდა არავითარი სიძნელე მოსახლეობის ხორცით მომარაგების სფეროში. პირიქით, მას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გავიტანდით და ქვეყნის სხვა რაიონებს ხელს გავუმართავდით!

ფერმის მწველავები, მწყემსები, საკვების მომპოვებლები და ბოსლების დამგველ-დამსუფთავებლები სამუშაო დღეს დილის ხუთ საათზე იწყებენ, მთელი დღე ფეხზე დგანან და ლოგინს მხოლოდ ღამის ათ-თერთმეტ საათზე თუ მიაკითხავენ. ამიტომ ფერმის მომსახურე პერსონალი არა შინ, ოჯახში, არამედ მუდმივად შირაქში ცხოვრობს. ბევრ მათგანს, ძველი ჩვეულების თანახმად, ოჯახიც თან წამოუყვანია და მარჩენალ ფერმას შეკედლებია.

ზამთრის ერთფეროვან გრძელ ღამეებში იოლი როდი უნდა იყოს აქ გაძლება, მაგრამ ჯაფარიძელი მეცხოველეების მდგომარეობას ის აადვილებს, რომ ფერმაში ცხოვრების ნორმალური პირობები აქვთ შექმნილი და შრომაც ოქროდ ფასდება. ელექტრონით განათებულ და გამთბარ კაპიტალურ ბინებში მათ მშვენიერი ავეჯი უდგათ და არც რადიოქსელისა და ტელევიზორის უქონლობას უჩივიან. თუმცა ეგაა, თბილისის ტელეპროგრამების მიღებას ამაოდ ცდილობენ. აქ უფრო ბაქოსა და ერევნის გად[illegible]ებს უყურებენ და ოცნებობენ იმ დღეზე, როდე[illegible] თბილისის ტელეგადაცემებსაც ასევე დაუბრკო[illegible]ებლივ მიიღებენ.

ფერმას აქვს თავისი სასადილო, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზია. სამგზავრო ავტობუსი შეუფერხებლივ დადის და გარე სამყაროსთან ცხოველი ურთიერთობა ერთი წუთითაც არ წყდება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის ხედი. ვ. ბონდარის ფოტო.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

18 თებერვალი

# აძლიერებენ დაძაბულობას

ვარშავა. ანტისოციალისტური ორგანიზაციის კოს-კორისა და პროფგაერთიანება „სოლიდარობის" ხელმძღვანელობის მემარჯვენე ფრთის ლიდერებმა, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ დაძაბულობა ქვეყანაში, ბოლო დროს თავიანთი აქტიურობის ცენტრი უმაღლეს სასწავლებლებში გადაიტანეს.

საქმე ის არის, რომ გაფიცვები სამრეწველო საწარმოებში სულ უფრო არაპოპულარული ხდება მოსახლეობას შორის ეკონომიკური ვითარების გაუარესების გამო, რაც უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ინტერესებს ჟუნებს ზიანს.

ამიტომ, სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალები აქეზებენ გაფიცვების მოწყობას პოლონეთის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. გრძელდება სტუდენტთა გაფიცვა ლოძში, სადაც მას ხელმძღვანელობს კონტრრევოლუციონერ კურონის ვაჟი. მიუხედავად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებისა, ოპოზიციის მიერ არჩეული საგაფიცვო კომიტეტის წევრები უკიდურესად მტრულად არიან განწყობილი მთავრობის მიმართ, აკეთებენ ანტისაბჭოთა განცხადებებს, აყენებენ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს, მოითხოვენ სწავლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების ფაქტობრივ შეცვლასაც კი.

გაფიცვები მარტო ლოძში როდი ეწყობა. ბოლო დღეებში სტუდენტური საგაფიცვო მოძრაობის ცენტრმა პოზნანში გადაინაცვლა, სადაც ჩავიდა კურონი და სადაც გაფიცვაში მონაწილეობს 4 ათასი კაცი.

ოპოზიციურმა ძალებმა შესძლეს პროვოკაციულად გამოიწვიათ გაფიცვები ვროცლავის უნივერსიტეტისა და მთელი რიგი სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის.

# გამოუტანეს განაჩენი

ანკარა. თურქეთის მუშათა პარტიის გენერალურ თავმჯდომარეს ბეჰიჯე ბორანს ანკარის სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა 8 წლისა და 9 თვის პატიმრობა. ეს განაჩენი თურქეთის მუშათა მოძრაობის ვეტერანს ბ. ბორანს, რომელიც ამჟამად თურქეთის ფარგლებს გარეთ იმყოფება, გამოუტანეს მისთვის წაყენებული „კომუნისტური პროპაგანდის" ბრალდებით.

# საბჭოთა ხალხის გმირობა

## უნგრეთში გამოიცა წიგნები „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი"

ბუდაპეშტი. კოშუტის სახელობის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ უნგრულ ენაზე გამოუშვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა კრებული, რომელშიც შევიდა წიგნები „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი". გამოცემა ეძღვნება სკკპ XXVI ყრილობას.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ნეპსაბადშაგში" დაბეჭდილ რეცენზიაში ხაზგასმულია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში თავმოყრილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება, ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის გმირობა ომის წლებში, საბჭოთა საზოგადოების განვითარების დინამიკური პროცესი. მათში თვალნათლივ ჩანს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის საქმეში, ხალხთა ბედნიერების, საბჭოთა კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები, წერს „ნეპსაბადშაგი", ეძღვნება საბჭოეთის ცხოვრების სხვადასხვა მოვლენას. ამ მოვლენათა მთავარი გმირია საბჭოთა ადამიანი. ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხალხის სიდიადეს, მათ სიმამაცესა და გმირობას, როგორც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის პერიოდში, ასევე სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის, ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების წლებში.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებში აღდგენილია დიადი ქვეყნის ისტორიის სახელოვანი ფურცლები. ისინი შეიცავს ლენინური პარტიის მნიშვნელოვან გამოცდილებას ფაშიზმის წინააღმდეგ და მშვიდობიანი აღმშენებლობის ბრძოლის წლებში, პარტიისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს მიუძღვის მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით. ეს წიგნები გვასწავლიან თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ დიადი იდეებისათვის.

ამ ტრილოგიის გამოქვეყნებით ამ ძვირფას გამოცდილებას ყველასათვის ხელმისაწვდომად ვხდით, ვეხმარებით ჩვენს პარტიას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, წერს „ნეპსაბადშაგი".

# გაასახლეს ქვეყნიდან

პრაღა. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, საფრანგეთის პრაღის საელჩოს გაუგზავნეს წარდგინება ნებადაურთველი საქმიანობისათვის ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან საელჩოს სამხედრო ატაშატის ზოგიერთი თანამშრომლის გასახლების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ გასული წლის დეკემბერში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატაშატის თანამშრომლებმა შეაღწიეს ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია სამხედრო ობიექტები, და დაზვერვით საქმიანობას ეწეოდნენ.

# განწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ბეირუთი. ჩადის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს ეგვიპტესთან, განაცხადა ჩადის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმად აგბაშ ასილმა ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში.

ეს გადაწყვეტილება, თქვა მინისტრმა, მიღებულია ჩადის ხალხისადმი ეგვიპტის მტრული პოზიციის გამო და ქვეყნის უშიშროებისა და სტაბილურობის მიზნით.

# შეხვედრა ბერლინში

ბერლინი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია. საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მათ ერთმანეთს გააცნეს თავიანთი ქვეყნების მდგომარეობა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის საქმიანობა.

შეხვედრაზე განიხილეს ორი პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარების საკითხები. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საკითხებზე.

ე. ჰონეკერმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია თავის X ყრილობისათვის. ს. კანია შეეხო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოციალიზმისა და პარტიის განმტკიცება, ქვეყნის გამოყვანა მძიმე კრიზისული სიტუაციიდან.

ორივე ხელმძღვანელმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საერთაშორისო ვითარება რთულდება იმპერიალისტური წრეების მიერ გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსის განხორციელების შედეგად. მათ მტკიცედ გაილაშქრეს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის ყველა ცდის წინააღმდეგ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ძმური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისა და ხალხისათვის. ე. ჰონეკერმა დაადასტურა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით მხარს უჭერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას, რომ ვარშავაში მოიწვიონ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენცია.

# დრო, ამბები, სიახლენი

## დამთავრდა ამიერკავკასიის მოსწავლეთა ფესტივალი

მეგობრობის, სიმღერის, საბჭოეთის ბედნიერი ბავშვობის ნათელ დღესასწაულად იქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალი, რომელიც ერევანში დამთავრდა. სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი დათვალიერების დროს მისი მონაწილენი გამოვიდნენ შინაარსიანი პროგრამით, რომელიც მოწმობს, რომ ნორჩი თაობა დღენიადაგ ეწაფება საბჭოთა და საზღვარგარეთის მუსიკალური კულტურის მიღწევებს.

16 თებერვალს ს. შაუმიანის სახელობის სასახლეში გაიმართა დასკვნითი კონცერტი. ამ კონცერტზე გამოვიდნენ სხვადასხვა ჟანრის კოლექტივები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. ჟიურის სახელით სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ე. მირზოიანი მიესალმა ფესტივალის ყველა მონაწილეს. უსურვა მათ შემდგომში ასევე წარმატებით შეათავსონ სწავლა და ნაყოფიერი დასვენება. გულთბილი სიტყვებით მიმართეს ბავშვებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ზ. ლომიძემ და ქალაქ ბაქოს პიონერთა სასახლის დირექტორმა ა. ალიევმა.

გამარჯვებულებს გადასცეს სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კომპოზიტორთა კავშირის, განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის საგუნდო საზოგადოების, გაზეთების რედაქციების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები. გამარჯვებულებს ჯილდოები მიანიჭა ავტორიტეტიანმა ჟიურიმ სამი რესპუბლიკის ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატთა შემადგენლობით —საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებისა და ეროვნული ხალხური შემოქმედების საუკეთესო შესრულებისათვის, საშემსრულებლო ოსტატობისა და იდეოლოგიური მიმართულებებისათვის, აგრეთვე ფესტივალის ყველაზე პატარა მონაწილეებს. სიხარულითა და ბედნიერებით იყო გასხივოსნებული ამ პრიზების მფლობელთა — ვოკალურ-ინსტრუმენტული, ქორეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, საესტრადო და სხვა ანსამბლების ნორჩ მსახიობთა, ქალაქების ბაქოს, თბილისისა და ერევნის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, სოფლის სკოლების სოლო შემსრულებელთა სახეები.

ფესტივალის დასკვნით კონცერტს დაესწრნენ სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. სარქისიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. სვეტლოვა, სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ტურიანი. (არმენპრესი)

## ნ. დობროლიუბოვის სახელობის პრემიის ლაურეატი

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჩვენი თანამემამულე გიორგი ლომიძე ნ. ა. დობროლიუბოვის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეს მაღალი ჯილდო მეცნიერს მიენიჭა წიგნისათვის „დიადი ერთობის გრძნობა. სტატიები საბჭოთა მრავალეროვნულ ლიტერატურაზე".

ეს წიგნი, რომელიც მრავალი წლის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგია, ეძღვნება საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის განვითარების პრობლემებს. ავტორი განიხილავს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების იდეურ-ესთეტიკური ერთობის ჩამოყალიბებასა და გაღრმავებას, იკვლევს ცალკეული ეროვნული ლიტერატურების შემოქმედებითს მიღწევებს.

დიადი საბჭოეთის მწერლების ფორმით ეროვნული ნაწარმოებები ყველა საბჭოთა ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა ლიტერატურისათვის ინტერნაციონალიზმი არის პრინციპი, იდეური პოზიცია. „ინტერნაციონალიზმი — ეს თვით საბჭოთა ლიტერატურის არსი, ის იდეური პოზიციაა, რომლის სიმაღლიდან იგი უცვლელად განიხილავდა სოციალური ცხოვრებისა და ბრძოლის პრობლემებს, ადამიანური ბედნიერების პრობლემებს" — აღნიშნავს წიგნში გ. ლომიძე.

გ. ლომიძის წიგნში საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი გამოკვლეულია 60-70-იანი წლების დიდი ლიტერატურული მოვლენების განხილვასთან შეხამებით.

ისტორიული გზის ერთიანობა, საერთო კონკრეტული ისტორიული ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი წყვეტს, განსაზღვრავს მათი ლიტერატურების შემოქმედებითი მიმართულების ერთიანობასა და მეგობრობას. (საქინფორმი).

როდესაც საფრანგეთში ჩასულ ბრაზილიის პროფკავშირების ლიდერს ლუის იგნასიო და სილვას ჰკითხეს, რა განსხვავებაა ჯ. კარტერსა და რ. რეიგანს შორის, მან უპასუხა: „არავითარი. ერთი კოლა-კოლაა, მეორე კი პეფსი-კოლაო".

ხუმრობა იქით იყოს და, თუ სერიოზულად შევადარებთ მათ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რეიგანის „ნეოკონსერვატიზმი" ბევრად როდი განსხვავდება კარტერის „პრაგმატული პროვინციალიზმისაგან". მიუხედავად მათ სტილსა და მეთოდებს შორის ოდნავი განსხვავებისა, პირველი მეორის უშუალო გაგრძელებაა. ვინმე სტერლინგი გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ფურცლებზე ამ დღეებში აღნიშნავდა: „მორალური დაქვეითებისა და კულტურული ლპობის ათწლეულის შემდეგ ჩვენ გვჭირდებოდა სუსტი და უძლური პრეზიდენტი, რათა გულის ტკივილით გვეგრძნო, თუ რაოდენ დავსუსტდით და დავუძლურდითო".

როგორც ჩანს, ყოველივე ამის შემდეგ რ. რეიგანსა და მთელ მის ამალას საკუთარი ძლიერების დემონსტრაცია, საგარეო-პოლიტიკური „კუნთების" თამაში საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევის მთავარ საშუალებად მიაჩნიათ. „როცა საჭირო გახდება ჩვენი უშიშროების დასაცავად მოქმედება, — ამბობს შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი, — ჩვენ ვიმოქმედებთ".

ამავე დროს რ. რეიგანს კარგად ესმის, რომ ამერიკელი ხალხი მშვიდობას ესწრაფვის. ამიტომ იგი მზად არის ამისათვის „მოლაპარაკებაც აწარმოოს" და „მსხვერპლიც გაიღოს", მაგრამ „არც დღეს და არც ოდესმე მომავალში ჩვენ კაპიტულირებას არ ვაპირებთო", — აცხადებს იგი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ არავინ და, უპირველესად, საბჭოთა კავშირი არ მოითხოვს ვაშინგტონის კაპიტულაციას. პირიქით, საბჭოთა კავშირი მოითხოვს ნდობის ატმოსფეროს შექმნას, როგორც მოლაპარაკების წარმატების მთავარ წანამძღვარს. მაგრამ სწორედ ეს არ აძლევს ხელს ვაშინგტონის ახალ ადმინისტრაციას და იგი ამხნევებს კომუნისტების მოძღვრებასა და სტრატეგიას („ერთადერთი მორალი, რომელსაც ისინი აღიარებენ — ეს არის მათი საქმის პროგრესი და ამის მისაღწევად ცდილობენ შეინარჩუნონ ნებისმიერი დანაშაულისა და სიყალბის ჩადენის უფლება"), რაც მას დრომოჭმული „ძალის პოლიტიკის" გალვანიზირების საშუალებას აძლევს: „ჩვენ შევინარჩუნებთ საკმაო ძალებს, რათა საჭიროების შემთხვევაში უპირატესობას მივაღწიოთ".

უპირატესობის მიღწევა! — აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული, მაგრამ ამგვარ ცდებს, როგორც ვიცით, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია შეერთებული შტატებისათვის წარსულში, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობა დიდი ხნით გაყინა „ცივი ომის" სტადიაზე.

მართალია, ჯერჯერობით ამერიკის ახალი მთავრობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული (რ. რეიგანი და მისი ადმინისტრაცია დღეისათვის ეკონომიკის საკითხებს ანიჭებენ პრიორიტეტს), მაგრამ „წინასიტყვაობა" უკვე იწერება, სათანადო ვითარება იქმნება და ამიტომ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ზოგიერთ ტენდენციას.

საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის მოხსენებაში „პრეზიდენტი რეიგანი და ამერიკის საგარეო პოლიტიკა", რომელიც ამ დღეებში ლონდონში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუარესება გამოწვეული იყო კარტერის პოლიტიკით „ადამიანთა უფლებების დაცვის", მარცვლეულით ვაჭრობის (ემბარგო) და სპორტული" კონტაქტების (მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი) სფეროში.

შეიტანა თუ არა რეიგანის ადმინისტრაციამ რაიმე ცვლილება ამ საკითხებში?

უპირველეს ყოვლისა, საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელ პრინციპად (საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში) აღიარებულია ეგრეთ წოდებული „ლინკიჯი" ანუ „გლობალურობა", რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ნებისმიერი მოლაპარაკების წარმატება, ვაშინგტონის ადმინისტრაციის აზრით, დამოკიდებული იქნება „მოსკოვის მოქმედებაზე" მსოფლიოს ნებისმიერ რაიონში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეერთებულ შტატებს უნდა მიეცეს უფლება თავისებური კონტროლი დაუწესოს სსრ კავშირის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან. სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი ამბობს: „საბჭოთა კავშირისათვის ტექნიკის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კრედიტების მიცემა, მასთან ვაჭრობის განვითარება და ავღანეთის ამბები ერთიანი კომპლექსია", და არა მარტო ავღანეთი! ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ეკონომიკური ბოიკოტით ემუქრება, თუ პოლონეთში „ლიბერალიზაციის" პროცესი შეწყდა.

ყოველივე ეს ამერიკული ჰეგემონიზმის ახალი გამოვლინებაა. „მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ჩვენ მეურვეთა ერი ვართ", — აცხადებს სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი. რომელიც დღევანდელ ამერიკაში ძლიერ პიროვნებად არის აღიარებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. ჰეიგის პიროვნების გამოჩენას უკავშირებენ სახელმწიფო დეპარტამენტის გავლენის აღდგენას, რამეთუ აქამდე (ჰ. კისინჯერისა და ზ. ბჟეზინსკის დროს) აღნიშნული უწყება ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის მხოლოდ „აღმასრულებელ ორგანოდ" ითვლებოდა. ა. ჰეიგი ამბობს, რომ ამიერიდან იგი თვითონ „ჩამოაყალიბებს, უხელმძღვანელებს და წარმართავს საგარეო პოლიტიკას", მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ირკვევა, მოასწავებს მხოლოდ მახვილის გადაადგილებას, და არა პრინციპულ ცვლილებებს.

როგორც ცნობილია, ჯ. კარტერის პრეზიდენტობის დროს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად გამოცხადებული იყო „ადამიანთა უფლებების დაცვა". ამჟამად, ამბობენ ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ამის ნაცვლად „ჩვენი ზრუნვის მთავარი ობიექტი იქნება ტერორიზმი", რადგანაც სსრ კავშირი „აფინანსებს, აიარაღებს, ხელმძღვანელობს და აქეზებს ტერორისტთა მოძრაობას" მთელ მსოფლიოში.

ამერიკის ახლანდელი ხელმძღვანელები არ მალავენ იმ ფაქტს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით აპირებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობას მსოფლიოს ყველა რაიონში. სახელმწიფო მდივანი ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „მე ვამტკიცებ, რომ ამჟამად ყველა თავისუფალი ქვეყნისათვის მთავარი საფრთხე და შეშფოთების მთავარი წყარო საერთაშორისო ტერორიზმის აფეთქებაა და მასთან დაკავშირებული უკანონო ჩარევის შემთხვევები, ეგრეთ წოდებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ან მისი შემცვლელი პირნი აწარმოებენ".

რაც შეეხება „წმინდა" ტერორიზმის სახეობებს, მათ, როგორც ცნობილია, კომუნისტური მოძღვრება კატეგორიულად უარყოფს.

ნიშანდობლივია, რომ ვერც რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და ვერც სხვამ, ვინც ვაშინგტონის ფეხის ხმას აჰყვა (მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი ს. პერტინი), ვერც ერთი ფაქტი ვერ დაასახელეს საბჭოთა კავშირის ამგვარ აქციებში მონაწილეობის დასადასტურებლად. საინტერესოა ისიც, რომ იტალიის ყველაზე გავლენიანი პარტიის (ქრისტიანი დემოკრატები) ხელმძღვანელობამ განაცხადა, ამ საკითხში საჭიროა სიფრთხილე, რადგანაც არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოგვეპოვებაო.

ამ დღებში იტალიაში გაიმართა უშიშროების ორგანოთა კონტროლის საპარლამენტო კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი ლაჯორიო (სოციალისტი) და შინაგან საქმეთა მინისტრი როგნონი (ქრისტიანი დემოკრატი). ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ უცხოეთთან იტალიელი ტერორისტების კონტაქტები ეჭვს არ იწვევს, მაგრამ რომელიმე მთავრობასთან მათი კავშირის არავითარი საბუთი არ არსებობს. ასეთი დელიკატური ფორმით (იტალია ხომ ამერიკის მოკავშირეა ნატოში) შეერთებული შტატების მთავრობის მტკიცების უარყოფა ნათლად მოწმობს აღნიშნული კამპანიის ინსპირირებას.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიზანს ისახავს ამგვარი ცრუ მტკიცებანი? ვის წისქვილზე ასხამენ ისინი წყალს? როგორც ჩანს, გადამწყვეტი სიტყვა აქ ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ეკუთვნის. გაზეთი „ლუმანიტე" სავსებით სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში მოსვლამდე ევროპაში ნატოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი (ამასაც ხომ მნიშვნელობა აქვს!) გენერალი ალექსანდრე ჰეიგი „იუნიონ ტექნოლოჯიზის" კომპანიის პრეზიდენტი იყო და მისი ყოველწლიური გასამრჯელო 700 ათას დოლარს აღწევდა, ხოლო აღნიშნული კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს პენტაგონის შეკვეთები წარმოადგენდა. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ. თუ „ადამიანთა უფლებების დაცვის" კამპანია ასე თუ ისე იდეოლოგიური (სიტყვიერი) ბრძოლის ჩარჩოებს არ სცილდებოდა, „ბრძოლამ ტერორიზმთან" შესაძლოა სულ სხვა ფორმები მიიღოს, მით უმეტეს, რომ რ. რეიგანი პირდაპირ აცხადებს: „ჩვენ შევეცდებით მოვსპოთ საერთაშორისო ტერორიზმის გონებრივი ტრესტებიო".

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, დღეს თეთრ სახლში იმდენად გულუბრყვილო ან გამოუცდელი პოლიტიკოსები მივიდნენ, რომ არ იციან, რას სჩადიანო. თავს ნუ მოვიტყუებთ. როგორც ა. ჰეიგი შენიშნავს, რომ 80-იანი წლები კრიზისის წლები იქნებაო, მან კარგად იცის, რასაც ამბობს.

ამრიგად, ცხადია, ამერიკის ახალი ადმინისტრაცია აშკარად უქმნის საფრთხეს მშვიდობას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს. მაგრამ, საბედნიეროდ, თანამედროვე მსოფლიოში იმპერიალისტური ძალები როდი ქმნიან პოლიტიკურ ამინდს.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

## ამერიკის შეერთებული შტატები:

# მოვლენათა მიმოხილვა

ამ ორ კვირაში

● ძველი პოლიტიკის ახალი „კუნთები" ● „ადამიანთა უფლებების დაცვა" და ბრძოლა „ტერორიზმის" წინააღმდეგ.

# დაარღვიეს საჰაერო სივრცე

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის პროტესტი

ბერლინი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ პროტესტი განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვითმფრინავის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის პროვოკაციული დარღვევის გამო, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ამას იუწყება ადნის სააგენტო.

14 თებერვალს, აღნიშნულია ცნობაში, ფედერაციული გერმანიის ერთმოტორიანი თვითმფრინავი შეიჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ქ. ვორბისის რაიონში და განზრახ განაგრძობდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფრენას.

მუდმივი წარმომადგენლობა იმედოვნებს, რომ დასავლეთ გერმანიის კომპეტენტური ხელისუფლები განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა მომავალში არ დაუშვან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევა.

## ფოტოობიექტივი ამხილებს



ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო დიდ სამხედრო დახმარებას უწევს სალვადორის რეჟიმს. „ადამიანის უფლებათა დამცველები" ოფიციალური ვაშინგტონიდან ყოველმხრივ უჭერენ მხარს რეპრესიულ ხუნტას, რომელიც ცდილობს ტერორით ჩაახშოს სახალხო აჯანყება. მკვლელობა, წამება, სისასტიკე — ხუნტის დამსჯელი რაზმების ხელწერად იქცა.

სურათზე: ხუნტის ჯარისკაცები მორიგი სადამსჯელო რეიდისათვის ემზადებიან.

იუპი-საქდესის ფოტო.

# 1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ქალაქ თბილისში 1981 წლის 15 თებერვალს გამართული 117-ე მოგებათა ტირაჟის

## ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ოთხმოცდაცხრამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100238 | 02*) | 500 | 129396 | 22*) | 500 | 164493 | 14*) | 2500 |
| 100613 | 19*) | 500 | 129431 | 15*) | 500 | 164859 | 10*) | 500 |
| 101160 | 1—50 | 40 | 131096 | 04*) | 500 | 165020 | 36*) | 500 |
| 101242 | 1—50 | 100 | 131514 | 05*) | 1000 | 165243 | 27*) | 1000 |
| 101828 | 05*) | 500 | 133329 | 33*) | 1000 | 166011 | 26*) | 500 |
| 102688 | 32*) | 500 | 133579 | 10*) | 500 | 166344 | 38*) | 500 |
| 102711 | 1—50 | 40 | 134054 | 06*) | 500 | 166965 | 10*) | 500 |
| 102875 | 1—50 | 40 | 134064 | 05*) | 1000 | 166994 | 40*) | 500 |
| 102956 | 23*) | 500 | 134935 | 49*) | 500 | 167471 | 1—50 | 40 |
| 102961 | 30*) | 500 | 135117 | 26*) | 500 | 167833 | 15*) | 500 |
| 103319 | 1—50 | 40 | 135495 | 38*) | 500 | 167996 | 16*) | 500 |
| 103786 | 38*) | 500 | 137051 | 1—50 | 40 | 168311 | 16*) | 500 |
| 105000 | 12*) | 500 | 138109 | 29*) | 500 | 168564 | 27*) | 500 |
| 105684 | 07*) | 500 | 138312 | 24*) | 500 | 169217 | 1—50 | 40 |
| 105705 | 02*) | 500 | 139319 | 1—50 | 40 | 169285 | 1—50 | 40 |
| 106187 | 32*) | 500 | 139369 | 13*) | 500 | 169304 | 1—50 | 40 |
| 106726 | 30*) | 500 | 139546 | 24*) | 500 | 169417 | 46*) | 1000 |
| 107166 | 41*) | 500 | 139915 | 1—50 | 40 | 169727 | 10*) | 1000 |
| 107262 | 1—50 | 40 | 139937 | 09*) | 1000 | 171087 | 10*) | 500 |
| 107702 | 1—50 | 40 | 140590 | 04*) | 500 | 171143 | 19*) | 500 |
| 108891 | 50*) | 1000 | 141260 | 41*) | 500 | 172551 | 01*) | 500 |
| 109061 | 28*) | 500 | 142032 | 1—50 | 100 | 172894 | 1—50 | 40 |
| 109942 | 1—50 | 40 | 142446 | 10*) | 1000 | 172902 | 17*) | 500 |
| 110179 | 40*) | 500 | 143400 | 27*) | 500 | 174107 | 45*) | 500 |
| 111285 | 09*) | 500 | 143429 | 04*) | 500 | 174583 | 19*) | 500 |
| 111528 | 09*) | 500 | 143655 | 33*) | 500 | 174716 | 42*) | 1000 |
| 111904 | 1—50 | 100 | 143690 | 05*) | 1000 | 174992 | 39*) | 500 |
| 112024 | 04*) | 500 | 143757 | 1—50 | 100 | 177819 | 1—50 | 40 |
| 112457 | 1—50 | 40 | 144652 | 29*) | 1000 | 178030 | 1—50 | 40 |
| 112625 | 06*) | 500 | 146512 | 30*) | 500 | 178269 | 16*) | 500 |
| 112816 | 1—50 | 40 | 147084 | 31*) | 500 | 178598 | 18*) | 500 |
| 113445 | 31*) | 500 | 147513 | 19*) | 500 | 180835 | 24*) | 2500 |
| 113597 | 1—50 | 100 | 149543 | 42*) | 500 | 181364 | 14*) | 500 |
| 114222 | 47*) | 500 | 149551 | 1—50 | 100 | 182791 | 44*) | 500 |
| 115808 | 15*) | 1000 | 149648 | 1—50 | 100 | 183500 | 12*) | 500 |
| 116648 | 29*) | 500 | 149704 | 11*) | 500 | 184481 | 23*) | 500 |
| 119210 | 1—50 | 100 | 149707 | 1—50 | 40 | 185058 | 47*) | 500 |
| 119308 | 1—50 | 40 | 149769 | 41*) | 500 | 185229 | 1—50 | 40 |
| 119533 | 16*) | 500 | 150241 | 1—50 | 40 | 185314 | 14*) | 500 |
| 119635 | 12*) | 500 | 150475 | 23*) | 500 | 187523 | 1—50 | 40 |
| 119838 | 47*) | 500 | 150782 | 32*) | 500 | 188022 | 16*) | 500 |
| 121525 | 1—50 | 40 | 151234 | 22*) | 500 | 188813 | 29*) | 500 |
| 121732 | 29*) | 500 | 151555 | 46*) | 500 | 189557 | 1—50 | 40 |
| 123005 | 19*) | 500 | 151994 | 12*) | 500 | 189632 | 30*) | 1000 |
| 123115 | 1—50 | 40 | 152262 | 29*) | 500 | 190325 | 01*) | 500 |
| 123429 | 45*) | 1000 | 153162 | 40*) | 500 | 190793 | 1—50 | 40 |
| 123615 | 05*) | 1000 | 153969 | 23*) | 500 | 191650 | 1—50 | 100 |
| 123843 | 42*) | 500 | 154450 | 1—50 | 100 | 191713 | 1—50 | 40 |
| 123881 | 10*) | 500 | 154654 | 25*) | 1000 | 191750 | 04*) | 500 |
| 123952 | 40*) | 500 | 155033 | 20*) | 500 | 192773 | 38*) | 500 |
| 125536 | 1—50 | 100 | 155746 | 29*) | 2500 | 192823 | 15*) | 500 |
| 125822 | 1—50 | 40 | 155828 | 1—50 | 40 | 192903 | 18*) | 500 |
| 125974 | 1—50 | 40 | 155946 | 34*) | 500 | 193067 | 1—50 | 40 |
| 126009 | 13*) | 500 | 156389 | 1—50 | 100 | 193822 | 47*) | 500 |
| 126285 | 1—50 | 100 | 156837 | 04*) | 500 | 194994 | 24*) | 2500 |
| 127344 | 04*) | 500 | 157447 | 1—50 | 40 | 195437 | 06*) | 500 |
| 127550 | 05*) | 500 | 157981 | 1—50 | 100 | 195493 | 1—50 | 40 |
| 127717 | 37*) | 500 | 159310 | 31*) | 500 | 195905 | 33*) | 5000 |
| 127744 | 1—50 | 40 | 160029 | 1—50 | 100 | 196523 | 45*) | 5000 |
| 127870 | 01*) | 500 | 160204 | 37*) | 500 | 197484 | 12*) | 2500 |
| 128613 | 1—50 | 40 | 161088 | 05*) | 1000 | 197541 | 50*) | 500 |
| 129179 | 48*) | 500 | 161310 | 38*) | 500 | 198167 | 38*) | 1000 |
| 129201 | 45*) | 1000 | 164172 | 10*) | 500 | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. ი. პაიჭაძე,
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.

ფეხბურთი

# ვინ ვის შეხვდება?

ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების შერჩევით ტურნირში (ლენინგრადის ზონა) მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედომ" სმოლენსკის „ისკრასთან" ფრედ (1:1) რომ ითამაშა, მკითხველმა უკვე იცის. ამ ზონის სხვა ორი მატჩი კი ასე დამთავრდა: ლენინგრადის „ზენიტი"-ვოროშილოვგრადის „ზარია" — 4:1. ბაქოს „ნეფტჩი" — ხაბაროვსკის სკა — 2:1.

როგორც ცნობილია, საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალში გასვლისათვის რვა ზონაში იბრძვიან გუნდები. და აი, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მოაწყო წილისყრა, რომლის მიხედვითაც მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდებიან: მესამე ზონაში (ლენინგრადი) მეორე ადგილზე გასული გუნდი მიიღებს მეხუთე ზონაში (მოსკოვი) გამარჯვებულს; მეშვიდეში (სიმფეროპოლი) მეორე ადგილზე გასული — მერვეში (ერევანი) გამარჯვებულს; მერვეში (ერევანი) მეორეზე გასული — თბილისის „დინამოს"; მეშვიდეში (სიმფეროპოლი) გამარჯვებული მეხუთეში (მოსკოვი) მეორე ადგილზე გამოსულს; მეოთხეში (კისლოვოდსკი) გამარჯვებული — მეექვსეში (დუშანბე) გამარჯვებულს; მოსკოვის „სპარტაკი" მიიღებს მეორეში (სოჭი) გამარჯვებულს; პირველში (უჟგოროდი) გამარჯვებული — ამავე ზონაში მეორე ადგილზე გამოსულს; მეექვსეში (დუშანბე) მეორე ადგილის მფლობელი მიიღებს მესამეში (ლენინგრადი) გამარჯვებულ გუნდს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ბიოლოგიის განყოფილება და ბოტანიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 84 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ვლადიმერ ლევანის ძე მენაბდე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

19 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.00 — „მოამბე" 10.30 — მღერის ანსამბლი „ენგური" (განმეორებით), 11.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.30 — სატელევიზიო დადგმა „რა ვაკეთოთ"? მეორე და მესამე ნაწილი. 13.00 — ტელეკურსი ფიზიკაში, 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 17.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.30 — განცხადებები, 17.35 — საცირკო სანახაობა, 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.20 — გადაცემა „კომუნისტები", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფი- [illegible]

მეორე პროგრამით: 18.25 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.55 — განცხადებები, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა.

თეატრი

19 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მოახლე ქალბატონი; სოფლის პატიოსნება (მე-4 აბონ. პირველი წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვარიაციები თანამედროვე თემაზე; მცირე დარბაზი — ძველი სამრეკლო; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პერიკოლა; [illegible]


კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96,

ლენინის ქ. 14.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-39-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-28-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ‚‚ 67685

P 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20